საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 27 იანვარი 2004 №16 (2035) | ფასი 50 თეთრი



# გამოუშვეს

# ჟორდანია გამოვიდა...

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია პატიმრობიდან გათავისუფლდა. გუშინ, ექვსის ნახევარზე, მან ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო დატოვა და შინისაკენ გაეშურა*



სამთვიან წინასწარ პატიმრობაში მყოფი ჟორდანია ჯანმრთელობის გაუარესების გამო ციხიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 30 დეკემბერს გადაიყვანეს, გუშინდლამდე ის იქვე იყო და გათავისუფლების თაობაზე გენერალური პროკურატურის დადგენილებას ელოდა, რამაც ათი დღით დაიგვიანა. დადგენილება ჟორდანიას გათავისუფლებაზე კი პროკურატურას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა დაემტკიცებინა.

15 იანვარს მერაბ ჟორდანიამ 741 984 ლარი ბიუჯეტში შეიტანა და მაშინვე მასზე სისხლის სამართლის დევნა შეწყდა. პრეზიდენტის გათავისუფლება 15 იანვარსვე არ მოხერხდა, არ მოხერხდა მეორე, მესამე დღეს... მოხერხდა გუშინ.

— გვადროეთ, ახლა პროცესუალური საკითხები განიხილება. რაღაც არ გაიპაროს, ეს ჟორდანიას ინტერესებშიცაა — გვითხრა 16 იანვარს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ გია ჯიქიამ.

პროცესუალური საკითხების განხილვა და პატიმრის გათავისუფლების დადგენილებაზე ხელმოწერა პროკურატურამ მეათე დღეს დაამთავრა. გუშინ ხუთის ნახევარზე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში პროკურატურის დადგენილება შევიდა, ერთ საათში კი მერაბ ჟორდანიამ ადვოკატ შალვა შავგულიძესთან და საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენელთან ერთად ციხის კარი შიგნიდან გააღო და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. ზღურბლზე ის წამით არ შეყოვნებულა, არანაირი კომენტარი— ფედერაციის პრეზიდენტი შეუძლოდ იყო, მაღალი ტემპერატურა ჰქონდა.

მერაბ ჟორდანიამ პატიმრობაში თვენახევარი გაატარა, მასზე დევნა შეწყდა, ახლა ის სისხლის სამართლის ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფალია, თუმც დარჩა 1996-98 წლების „დინამოს“ საქმე, გამოძიება გრძელდება. როგორც ვიცით, ლაპარაკია დაახლოებით 3 მილიონ ლარზე.

— მერაბ ჟორდანია ათი დღის წინ უნდა გათავისუფლებულიყო, მაშინვე, როგორც კი ფედერაციის პრეზიდენტმა ბიუჯეტში სადავო თანხა გადაიხადა, თუმც პროკურატურაში გათავისუფლების დადგენილებაზე ხელმოწერა გაჭიანურდა. ვფიქრობ, ასე ტექნიკური ხარვეზის გამო მოხდა. — გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ — როცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროკურატურას შუამდგომლობით მიმართა, მეორე დღეს შეიცვალა გენერალური პროკურორი, იმ დღესვე ეს საქმე ვერ მოგვარდა. მერე კი გენპროკურორი მოსკოვს გაემგზავრა. სწორედ ამის გამო ვერ მოხერხდა აქამდე ჟორდანიას გათავისუფლება.

— გამორიცხულია, რომ ფედერაციის პრეზიდენტს ახალი ბრალი წაუყენონ? ამ ათ დღეში ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ...

— გამორიცხული, აბა, რა არის?! ჯერჯერობით მერაბ ჟორდანიას მიმართ საქმე აბსოლუტურად შეწყვეტილია. გამოძიება გრძელდება ზოგადად თბილისის „დინამოს“ საქმიანობასთან დაკავშირებით. კონკრეტული პირის, მერაბ ჟორდანიას საქმე კი დახურულია.

— შესაძლოა, რომ გამოძიება ჟორდანიას მიუბრუნდეს?

— გამოძიება შესაძლოა, ნებისმიერ მოქალაქეს მიუბრუნდეს. ასეთი თეორიული შანსი არის.

— ერთიც, იმიჯის საკითხი. ამ თვენახევრიანი პატიმრობის შემდეგ ჩაითვლება, რომ მერაბ ჟორდანია ნასამართლევია?

— არა, არავითარი ნასამართლეობა. მერაბ ჟორდანია დროებით იყო დაკავებული.

# გამოვა მიშელი?

*მერაბ ჟორდანია პატიმრობიდან გათავისუფლდა — ქართული ფეხბურთის ერთი პრობლემა მოგვარდა. დარჩენილი ათასიდან უახლოესი კი, ქვეყნის ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელის დანიშვნის საკითხია.*

დღეს-ხვალ არა, მაგრამ უახლოეს მომავალში ანრი მიშელი საქართველოს ნაკრებს ჩაიბარებს — ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია და ძალიან მცირეა შანსი, რომ მოლაპარაკება ჩაიშალოს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ვიცე-პრეზიდენტი ლერი სულაბერიძე მიშელის თურქ აგენტ ბაირამ თუთუმლუს გუშინვე დაუკავშირდნენ. დღეს ისინი თავად მიშელთან შეხმიანებას და შეხვედრაზე შეთანხმებას აპირებენ.

იქამდე კი ლერი სულაბერიძე. ფედერაციის პრეზიდენტის არყოფნისას ნაკრების მწვრთნელის საკითხზე ის მუშობდა.

— ანრი მიშელი ნაკრებს კვიპროსის ტურნირზე თუ ვერ წაიყვანს, ეს ტრაგედია არ იქნება — გვითხრა ლერი სულაბერიძემ — მთავარია, რომ მერაბ ჟორდანია გათავისუფლდა და ახლა მწვრთნელთან საბოლოო მოლაპარაკება, დეტალებზე შეთანხმება დაჩქარდება. ანრი მიშელის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის საკითხი სულ მალე მოგვარდება. მწვრთნელის რანგში თუ არა, ვეცდებით, რომ მიშელი კვიპროსზე მაინც ჩავიყვანოთ და საქართველოს ნაკრები საქმეში ვანახოთ. საბოლოო მოლაპარაკება შესაძლოა იმიტომაც გაგრძელდეს, რომ ახლა ტუნისში აფრიკის თასის გათამაშება მიმდინარეობს და მიშელიც იქ არის.

**— მერაბ ჟორდანია როდის შეხვდება მწვრთნელობის კანდიდატს?**

— პრეზიდენტი ჯერ კიევში, შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე შესათანხმლებლად გაემგზავრება, მიშელს კი მერე შეხვდება.

**— რაკი მერაბ ჟორდანია გათავისუფლდა, ეს ნიშნავს, რომ ნაკრების მწვრთნელობის ის ორი კანდიდატურა გამოირიცხა, რომელიც მიშელის გარდა იყო?**

— დიახ, გამოირიცხა, კანდიდატურა ერთია — ანრი მიშელი.

**— ისიც გამორიცხულია, რომ მასთან მოლაპარაკება ჩაიშალოს?**

— თითქმის გამორიცხულია, დეტალებიღაა შესათანხმებელი. მიშელი მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებას ელოდა.

**— ანრი მიშელს თავის კლუბთან კონტრაქტი 1 ივნისამდე აქვს...**

— ეს პრობლემა არაა, მას შეუძლია კონტრაქტის გაწყვეტა.

**— თუ ასეა საქმე, არ სჯობს, კალენდარზე შესათანხმებლად კიევში მიშელიც წაიყვანოთ?**

— როცა მიშელი თბილისში იყო, მან კალენდრის თავის ვარიანტები დაგვიტოვა, გვითხრა, კარგი იქნება, ასეთი განრიგით თუ ვითამაშებთო. ვნახოთ, მიშელის კიევში ყოფნის აუცილებლობა არაა. ჩვენ სწორედ მისი დატოვებული ვარიანტების გატანას ვეცდებით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს გარდა ექვს გუნდს ექნება თავის ვარიანტი.

**— ბოლო დროს ნაკრებში „დინამოს“ მწვრთნელის, ივო შუშაკის დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ...**

— შუშაკისადმი ჩვენი პატივისცემისა და კეთილი დამოკიდებულების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებს ისეთი მწვრთნელი სჭირდება, რომელიც კლუბისგან თავისუფალი იქნება. ნაკრების მწვრთნელის საზრუნავი მხოლოდ ეროვნული გუნდი უნდა იყოს. ორ საქმეს კაცი ერთნაირად ვერ გააკეთებს. როცა კლუბშიც მუშაობ, მაინც შეზღუდული ხარ, თუნდაც ეს — ლეგიონერების საქმეში ნახვას ვერ ახერხებ. ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა კი სწორედ უცხოეთში თამაშობს.



ბაირამ თუთუმლუ და ლერი სულაბერიძე

გუშინვე, ლერი სულაბერიძესთან საუბრის შემდეგ, მაროკოში ანრი მიშელთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ, ხელთ ისევ მისი მეუღლე რუბა შეგვრჩა.

— მეუღლე ახლა ჩემს გვერდით არაა, რომც იყოს, არ ილაპარაკებდა, მას აგენტმა ურჩია, უახლოესი ორი-სამი დღე, ფედერაციის პრეზიდენტთან შეხვედრამდე, ჟურნალისტებთან ურთიერთობისგან თავი შეიკავოს.

**— ჩანს, მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების ამბავი უკვე იცით.**

— დიახ, ნახევარი საათის წინ გავიგე. კარგია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა და ფედერაციის პრეზიდენტი გაათავისუფლეს. ის და ანრი ერთმანეთს ალბათ მალე შეხვდებიან.

**— ამას წინათ რომ ვისაუბრეთ, გვითხარით, მეუღლე ჟორდანიას გათავისუფლებას ელისო...**

— დიახ, ასე იყო და გითხარით.

**— ესე იგი, ახლა ყველა პრობლემა მოგვარებულია?**

— ფედერაციის პრეზიდენტისა და ანრის შეხვედრას დაველოდოთ.

**— თქვენს მეუღლეს აზრი ხომ არ შეუცვლია? სურს საქართველოში მუშაობა?**

— დიახ, მას სურს, თანაც ძალიან სურს საქართველოში მუშაობა.

**— აქ წამოსვლის შემთხვევაში მაროკოს მეფის თხოვნას, მიშელი „რაჯა კასაბლანკაში“ დარჩესო, რით უპასუხებს?**

— მეფეს მართლაც სურს, რომ მეუღლე მაროკოში დარჩეს, მაგრამ ანრის საქართველოში ურჩევნია.

**კობა ინასარიძე**

# ორ-სამ დღეში...

გუშინ ანრი მიშელთან გარიგების წარმმართველ აგენტ ბაირამ თუთუმლუს თურქეთში დავურეკეთ.

**— ჟორდანიას გათავისუფლებით მოხარული ვარ. მერაბს უკვე ველაპარაკე და გათავისუფლება მივულოცე.**

**— ანრი მიშელზე არ გილაპარაკიათ?**

— ჯერ არა, მაგრამ მოგვიანებით, ცხადია, ამაზე უნდა ვისაუბროთ.

**— შეიძლება ითქვას, რომ მიშელთან კონტრაქტის ხელმოწერა უკვე გარდაუვალია?**

— ამის შესახებ ჯერ ჟორდანიას უნდა ველაპარაკო.

**— რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?**

— ამას ორ-სამ დღეში გეტყვით.

**დავით თავართქილაძე**

# მოსკოვი, ოღონდ რომელი?



**გუშინ** თბილისში დაბრუნებულ დინამოელებს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ვიტალი დარასელია აკლდათ. ტურნირის ბომბარდირი იმდენად გამორჩეული იყო, რომ მასზე ნადირობა ერთდროულად რამდენიმე რუსულმა კლუბმა დაიწყო. „სარბიელის“ მკითხველს ემახსოვრება, როგორ ერიდებოდა თავად ვიტალი კლუბების დასახელებას, არადა, არც იმას უარყოფდა, რომ მისით ერთბაშად რამდენიმე რუსული კლუბი დაინტერესდა.

გუშინ ფეხბურთელს მოსკოვში კი შევეხმიანეთ, მაგრამ ვიტალი არც ამჯერად „გამოტეხილა“: „ერთს ნამდვილად გეტყვით, მოსკოვში ვრჩები, ოღონდ რომელ კლუბში, ჯერ ვერ დავაკონკრეტებ. საუბარი პირდაპირ კონტრაქტზეა“.

ჩვენს შეკითხვას, ასეთი გასაიდუმლოება კლუბის ინტერესებშია თუ სხვა რაიმე მიზეზია, დარასელიამ ასე უპასუხა: „ეს ჩემს ინტერესებში უფროა. ორ დღეში ისედაც ყველაფერს გაიგებთ“

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამბიციურ მოსკოვურ გუნდთა შორის ცსკა-ს და „ლოკომოტივს“ ფაქტობრივად დასრულებული აქვთ სასელექციო სამუშაო, მაშინ გამორიცხვის მეთოდით მოსკოვის „დინამო“ და „სპარტაკი“ გვრჩება. დარასელიას ტრანსფერზე კი ჯერჯერობით ამ გუნდების ოფიციალური ვებ-გვერდებიც დუმან.

**დავით ერაძე**

## იტალია

სერია B. XXIV ტური

ტერნანა 0:0 ბარი

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

ალემანია 3:2 ნიურნბერგი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIX ტური

ბოავიშტა 1:0 ბეირა მარი

## ესპანეთი

სეგუნდა დივიზიონი XXI ტური

მალაგა B 0:0 სპორტინგი

## აფრიკის თასი

B ჯგუფი. I ტური

კენია 1:3 მალი

სენეგალი 0:0 ბურკინა ფასო

*ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია დღეს ფრანკფურტში მიფრინავს. გერმანიაში გამგზავრებამდე ჩოლარიას დღესვე ორი შეხვედრა აქვს დაგეგმილი. გენმდივანი თბილისში ჩამოსულ ანდერს ლევინსონს ნახავს. ეს დანიელი კაცი „ფანზ ოუფენ ფუტბოლის“ პროგრამას კურირებს და პროექტთან დაკავშირებულ გეგმებს გააცნობს დამხვდურს. აეროპორტში წასვლამდე ჩოლარიას ერთი საქმიანი შეხვედრაც ელის მავან გერმანელთან. სტუმრის ვინაობა გასაიდუმლოებულია, შეხვედრაც კონფიდენციალურიაო, გვითხრა ვალერი ჩოლარიამ გუშინდელი პრესკონფერენციისას.*

*ჟურნალისტებთან შეხვედრის დასაწყისში ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებაზე ილაპარაკა*



# ჩოლარიას გერმანული საიდუმლო და თურქული საშიშროება

...დღეს, როგორც იქნა, პროკურატურაში მოაწერეს ხელი მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების დადგენილებას. ჩვენი პრეზიდენტი თავისუფალია. მერაბს დილით ვესაუბრე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მითხრა, სიცხიანი ვარ, თავს შეუძლოდ ვგრძნობო. ვიმედოვნებ, პრეზიდენტი მალე გამოჯანმრთელდება და ჩვეულ სამუშაო რიტმს დაუბრუნდება. ჟორდანიას გათავისუფლების შესახებ უკვე ვაცნობე ფიფა-უეფაში, მომხდარით ყველა კმაყოფილია.

...ფრანკფურტში დღეს 16 საათზე მივემგზავრები. 28 იანვარს „პუმას“ წარმომადგენელს ბატონ ვიდმანს უნდა შევხვდე. მას ვთხოვ, რომ სრული კომპლექტი 30 კაცისთვის პირდაპირ კვიპროსზე გააგზავნოს, რადგან ჩვენი ნაკრები 15 თებერვალს იქ ჩადის საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. ვიდმანს აგრეთვე ახალი, წითელი სათამაშო ფორმის შეკვეთას მივცემ. დიზაინზე ადგილზე მოვილაპარაკებთ. ასე რომ, ეროვნულ ნაკრებს თეთრი და კომბინირებული ფორმის გარდა „პუმას“ წითელი ეკიპირებაც ექნება.

...დღეს ფიფადან ფაქსი მივიღეთ. შეგვატყობინეს, პროგრამა „გოლის“ წლევანდელი თქვენი პროექტი მოწონებულია და სათანადო დოკუმენტაციას მალე გამოგიგზავნითო. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რაკილა „გოლიდან“ შემოსული სოლიდური თანხა ისევ და ისევ ჩვენი ფეხბურთის კეთილდღეობას მოხმარდება.

...ცოტა ხნის წინ „დინამოს“ მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილს ვესაუბრე და გამარჯვება მივულოცე. ჩვენმა ჩემპიონმა მართლაც ღირსეულად ითამაშა ესენგეს თასზე და ქართველთა წარმატებას სულაც არ აფერმკრთალებს ის, რომ კიევის „დინამო“ და ცსკა დუბლშემადგენლობით იყვნენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ფინალში იმ ქვეყნის ჩემპიონს მოვუგეთ, შარშან ყველაზე დიდი ფურორი რომ მოახდინა ევროპის ჩემპიონატზე გასვლით. მიხარია, რომ ახალი დროშით პირველი გამარჯვება სწორედ ფეხბურთში მოვიპოვეთ.

...გერმანიიდან 29 იანვარს კიევში ჩავალ. იმ დღესვე კოლეგებთან ერთად მოსამზადებელი შეხვედრა მექნება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჩვენი ჯგუფის კალენდრის დასამტკიცებლად. მომდევნო დღეს კი უკვე კონკრეტულად შევიმუშავებთ კალენდარს. მაქვს ჩემი გეგმა — ფიფას გამოგაზვნილ პროექტს ჩემი წინადადებით ალბათ კენჭს ვუყრით კიევურ შეხვედრაზე და თუკი მოლაპარაკება ჩიხში მოექცევა, მაშინ ფიფასეული კალენდარი დამტკიცდება. ეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია. კიევში ჩემთან ერთად ან მერაბ ჟორდანია იქნება, ანაც ალექსანდრე ჩივაძე.

კიევიდან ისევ გერმანიაში ჩავალ. 31 იანვარს „შალკეს“ თამაშს დავესწრები, მომდევნო დღეს კი — „ფრაიბურგის“. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ მარტსა და აპრილში ეროვნული ნაკრები ბუნდესლიგელებთან სამ საკონტროლო მატჩს გამართავს. სამივე მეტოქე თითქმის შერჩეულია, მათ ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ. დეტალების დასაზუსტებლად 2 თებერვალს სწორედ ამ კლუბების წარმომადგენლებს შევხვდები და კონკრეტულად ჩამოსვლის მერე მოგახსენებთ ყოველივეს.

...ნაკრებისთვის ამხანაგურ მატჩებს მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც ვცდილობთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ფიფა-უეფას მიერ დადგენილი სათამაშო დღეები. ვითამაშებთ კვიპროსის ტურნირში, ვეთამაშებით გერმანელებს, ესტონელებს, თითქმის გადაწყვეტილია, რომ საკონტროლო მოლდოვასთანაც გვექნება — მათ ჩვენი „ამხანაგური ვალი“ აქვთ, ასე რომ, ნაკრებს სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდება.

...გერმანიიდან 3 თებერვალს დავბრუნდები. წამოსვლის დღეს „ტელესპორტის“ წარმომადგენელს კლაუს ანდერსს შევხვდები და სატელევიზიო ჩვენების ხელშეკრულებაზე ვისაუბრებთ. ჩვენ ტელეკომპანია „იმედის“ თანადგომით კარგი პარტნიორი გამოგვიჩნდა. აქამდე გერმანელთა მოთხოვნას ხარისხიან ტელესიგნალთან დაკავშირებით თურქეთიდან ნაქირავები „პეტეესებით“ ვაკმაყოფილებდით. ეს კი სოლიდურ თანხად გვიჯდებოდა. ახალი სეზონიდან „იმედის“ „პეტეესებს“ გამოვიყენებთ. ხარისხში დასარწმუნებლად გერმანელებს თბილისში ვაჩვენებთ პრაქტიკულ მაგალითს. ეს ალბათ 26 მაისს — სათასო ფინალის დღეს მოხდება. სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრები კლაუს ანდერსს.

ეს გვითხრა ვალერი ჩოლარიამ და მერე ჩვენს შეკითხვებს უპასუხა...

**— თქვენ განაცხადეთ, რომ სანამ მერაბ ჟორდანია პატიმრობაშია, უცხოელ მწვრთნელზე საუბარი გამორიცხულია. დღეს პრეზიდენტი გაათავისუფლეს, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველოს ნაკრებში ქართველი მწვრთნელის დანიშვნაზე ლაპარაკი შეწყდება?**

— ჩემი მაშინდელი ნათქვამი აქტუალური აღარ არის. ჟორდანია თავისუფალია და შესაბამისად თავად გააგრძელებს ურთიერთობას უცხოელ მწვრთნელთან.

**— ეს კაცი მხოლოდ ანრი მიშელი იქნება?**

— ანრი მიშელთან მე არანაირი შეხება არ მქონია, მასთან მოლაპარაკებებს ჟორდანია წარმართავს... დაველოდოთ შედეგებს.

**— ითქვა, შესაძლოა, ნაკრები ივო შუშაკს ჩააბარონო, ისიც ითქვა, ამ ვარიანტს ყველაზე მეტად ჩოლარია უჭერს მხარსო...**

— შუშაკს დასამტკიცებელი არაფერი აქვს, უდავოა, იგი ჩინებული სპეციალისტია, თუმც მე არანაირ ვარიანტს არ ვუჭერ მხარს გამოკვეთილად, მერაბ ჟორდანიას მოქმედებას ველოდები, მას მოლაპარაკებები აქვს და მჯერა, საქმეს ისე წარმართავს, რომ შედეგი ეროვნული ნაკრებისთვის სასიკეთო იქნება.

**— როდის ეყოლება ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი?**

— 15 თებერვლამდე, კვიპროსის ტურნირის დაწყებამდე. შესაძლოა, მწვრთნელი ისეთ დროს დაინიშნოს, რომ პირდაპირ კვიპროსზე მოუხდეს ჩასვლა.

**— 30 იანვარს ციურიხში ჩვენი ჯგუფის კალენდარი უნდა დამტკიცდეს. ასეთ დროს მნიშვნელოვანია მწვრთნელის მოსაზრების გათვალისწინება კალენდრის ამა თუ იმ ვარიანტზე, ეს კი, როგორც ჩანს, არ ხერხდება. რა კონკრეტული გეგმით მიდიხართ უკრაინაში, როგორია საქართველოსთვის სასურველი კალენდარი თქვენი მოსაზრებით?**

— ამას წინათ იარცევმა თქვა, რომ კალენდარს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, გუნდი იყოს მზად კონკრეტული თამაშისთვისო. მეც ამას გავიმეორებ, თუმც, რა თქმა უნდა, კიევში ჩვენი პირობები მაინც გვექნება. გვინდა, შესარჩევი ეტაპი საშინაო მატჩით დავიწყოთ ნებისმიერ ნაკრებთან თურქეთის გარდა. მეორე თამაში გასვლაზე გვსურს ნებისმიერთან იმავე თურქეთის და ალბანეთის გარდა. განსაკუთრებით ალბანეთში არ გვსურს თამაში, რადგან შემოდგომაზე ეს ნაკრები სახლიდან ყველას წაქცეულს უშვებს. მოკლედ, თუკი პირველი ორი ტურის საკითხი ასე გადაწყდა, კმაყოფილი ვიქნები.

**— პრინციპულად რაზე არ დათანხმდებით კალენდრის შედგენისას?**

— არ დავთანხმდები ორ პირველ და ორ ბოლო გასვლით მატჩს. ჩვენთვის აგრეთვე მიუღებელია აგვისტოში და მომავალი წლის თებერვალში თამაში, რადგან ამ დროს ამხანაგური მატჩების გამართვა გვსურს.

**— უკრაინელთა მოსაზრებას, ბოლო ტურში თბილისში ითამაშონ, დათანხმდებით?**

— რატომაც არა, იყოს უკრაინა. ეგებ მათთან მატჩს ბოლო ტურში ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს და შინაური კედლები დიდი ძალა იქნება საქართველოსთვის.

**ბაატა ძამანტალიანი**

# გრძნობათა შამპანური

## დინამომ მიძინებული გამოაღვიძა



„დინამოს“ კარგი თამაშით ხალხი გაუხარებია

**„დინამო“** თბილისს ესენგეს თასის მფლობელის რანგში დაუბრუნდა. მართალია, დინამოელები დაგეგმილზე გვიან დაეშვნენ დედაქალაქის აეროპორტში, მაგრამ ხალხი მათ მოთმინებით ელოდა და გულთბილი დახვედრაც მოეწყო. უწყვეტად ისმოდა „დინამოს“ უბერებელი ჰიტის რემიქსული ვარიანტი. 1000-მდე გულშემატკივარს „დინამოს“ ქუდები ეხურა, ფრიალებდა საკლუბო ლოგოთი დამშვენებული თეთრ-ცისფერი და ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშები. დინამოელები სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ლერი სულაბერიძემ და პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმაც დააფასეს. იქვე იყო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. ცნობილი სახეებიდან კი გივი ბერიკაშვილსა და გურამ ლორთქიფანიძეს შენიშნავდით.

თბილისელებს არ ჩამოჰყოლიათ ივო შუშაკი, რომელიც პირადი საქმეების გამო დარჩა მოსკოვში და თბილისში ხვალ ჩამოვა.

თანამეგობრობის ჩემპიონთა და საუკეთესო კლუბის თასებით ხელდამშვენებული დინამოელებიც გამოჩნდნენ. გაისმა ტაში, აქა-იქ შამპანურმაც იფეთქა და დაიწყო ტრადიციული, ქართული ხვევნა-კოცნა და მილოცვა. შეკრებილთა უმეტესობის აზრი ასეთი იყო: მართალია, დინამოელთა მიერ მოპოვებული ჯილდო არაა ევროპული მასშტაბების და ზარ-ზეიმიც ზედმეტია, მაგრამ გამარჯვების სიხარული ხომ ყველას მოენატრაო. დინამოელთა ნათქვამი კი ეს იყო: დიდი მადლობა ყველა ქართველ გულშემატკივარს, რომელთა მხარდაჭერას მოსკოვშიც ვგრძნობდით, მადლობა იქ მცხოვრებ ქართველებს. რომ არა მათი საოცარი თანადგომა, ტურნირის მოგება გაგვიჭირდებოდა. ახლა საუკეთესო ხასიათზე ვართ, ამ მოგებამ საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა და მომავალს უფრო იმედიანად ვუყურებთ.

მოსკოვიდან დაბრუნებული დინამოელები ორდღიანი დასვენების შემდეგ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბებიან და ვარჯიშს განაახლებენ. 1 თებერვლიდან კი კვიპროსული შეკრება იწყება.

**დავით ერაძე**

# ჩვენ რა, შუშა ვართ?

## ბერიძეს ვიტ ჯორჯიას უჩინმაჩინობა უკვირს

*გუშინ ესენგეს სივრცეში გაჩემპიონებულ თბილისის „დინამოს“ სეზონის მთავარ მიზანთაგან ორი დარჩა ასასრულებელი – ეროვნული ჩემპიონატი და თასი. ამ საქმეში კი იყო შუშაკის გუნდის ყველაზე საშიში კონკურენტი თბილისური „ვიტ ჯორჯიაა“, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და სიმპათიური გუნდი საქართველოში. ჩვენს ჩემპიონატსაც ხომ სწორედ „დინამო“ – „ვიტ ჯორჯიას“ ჯახი მატებს ჟინს...*

*ვეტერინარები უკვე რა ხანია, საგაზაფხულო ეტაპისთვის თბილისში ემზადებიან. თურქეთში შეკრებაზე წასვლამდე ზურაბ ბერიძე შეგირდებს სიქას აცლის და გუნდის მდგომარეობითაც ერთობ კმაყოფილი ჩანს. სწორედ ამით დაიწყო ჩვენი გუშინდელი საუბარი, მერე კი სხვა საინტერესო თემებსაც შევეხეთ*



— ბიჭების განწყობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველა სერიოზულად ემზადება სამეორეეტაპოდ. გუნდი სასტუმრო „მესაზღვრეშია“ დაბინავებული და დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. თურქეთში წასვლამდე ასე გაგრძელდება.

**— ვიცით, რომ ოთარ მარცვალაძე ვერ იყო ჯანზე...**

— ის უკვე გამოკეთდა. ორი დღეა, სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

**— სხვებსაც ხომ არ შექმნიათ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები?**

— მცირე მიკროტრავმა აწუხებს რამდენიმეს, მაგრამ საშიში არაფერია.

**— ირაკლი შენგელია, გრიგოლ ბედიაშვილი, ირაკლი მალიჩავა, აკაკი კუპრეიშვილი, ლევან კვარაცხელია... ამათ გარდა კიდევ ვინმეს შემატებას აპირებთ?**

— შეიძლება, ასეც მოხდეს. წინასწარი საუბრები არის და უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა.

**— 4 თებერვალს თურქეთში მიდიხართ. მანამდე ალბათ, ამხანაგურ მატჩებსაც ითამაშებთ...**

— აუცილებლად. 28 იანვარს ალბათ „სპარტაკს“ შევხვდებით. მურთაზ ხურცილავასთან უკვე გვქონდა მოლაპარაკება და მგონი, შევთანხმდებით.

**— თურქეთში ვის ეთამაშებით?**

— განრიგი უკვე გამოგვიგზავნეს: უნგრული „ბოდიაკი“ და მტკუტულის „არსენალი“, „ამკარი“ და ბელარუსის მეორელიგელი „გომელი“. შესაძლოა, მცირე ცვლილებები მოხდეს. ამას ადგილზე გავარკვევთ.

**— „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ კონკურენტ თბილისის „დინამოზე“ თვალის შევლება მოსკოვურ ესენგეს თასზეც შეგეძლებოდათ...**

— „დინამოზე“ კარგის მეტი რა უნდა ვთქვა — მოსკოვშიც დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები. ძალიან მიხარია „დინამოს“ ასეთი წარმატება, ეს კლუბი ქართული ფეხბურთის სახეა და ამ სახეს ახლა სხვა ქვეყანაში აჩვენებს. სწორედ ეს მიხარია. ბედნიერი ვარ, რომ მოსკოვმა ნამდვილი ქართული ფეხბურთი ნახა. ამიტომ თუ შეიძლება, ამ გუნდის პლუს-მინუსებზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ.

**— მაშინ „ვიტ ჯორჯიას“ დავუბრუნდეთ. ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებისთანავე ხმები აგორდა, გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი მიდისო, მაგრამ ასე არ მოხდა...**

— „ვიტ ჯორჯიას“ საკუთარი ხელწერა აქვს. ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი ფეხბურთელების ფასი, ამიტომ გვინდა, ისინი გაცილებით უკეთეს გუნდში წავიდნენ. მართალია, რამდენიმე წინადადება მივიღეთ, მაგრამ თავი შევიკავეთ. თუ გვეცოდინება, რომ ფეხბურთელს კარგი კლუბი იწვევს, ხელს არ შევუშლით, საქმეს არ გავუფუჭებთ. ამას ბიჭებიც გრძნობენ და „ვიტ ჯორჯიადან“ წასვლაზეც უარი თქვეს. თუმც ყველაფერი მარტო კარგი კლუბით როდი განისაზღვრება...

**— რას გულისხმობთ?**

— „ვიტ ჯორჯიადან“ საქართველოს ნაკრებში მხოლოდ მირზა მერლანია მიწვეული. რატომ არავინ კითხულობს სხვებს? „დინამოს“ რომ თავი დავანებოთ, საქართველოში მეორე გუნდი ხომ ვართ? ვერ წარმომიდგენია, რომ ნაკრებში სხვა ფეხბურთელი ვერ ივარგებს. ეს ხომ აბსურდია. როგორ შეიძლება, ერთხელ მაინც არ მიიწვიო დილმელაშვილი, გველესიანი, ადამია... დავიჯერო, ნაკრებში იმხელა კონკურენციაა, რომ ეს ბიჭები უშანსოდ არიან? შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ მთლად ასეთი უყურადღებობაც არ შეიძლება. მაშინ დალუპულა ქართული ფეხბურთი და ეგ არის. აბა, რა გამოდის, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი თავისი ქვეყნის ნაკრებს ფეხბურთელს ვერ უზრდის? ასე არ შეიძლება! შეუძლებელია, ამაში ვინმე არ დამეთანხმოს...

**— მიზეზს რაში ხედავთ?**

— არ ვიცი. დღემდე ვერ ამიხსნია ასეთი გულგრილობა. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში შეიცვალა ამდენი რამ, რაც ბევრს ვერც წარმოედგინა, და ნაკრები რა გახდა? შანსი ხომ უნდა მიეცეს იმას, ვინც იმსახურებს? სხვაგვარად არანაირი პროგრესი არ იქნება. ასეთი მაგალითი ბევრი გვქონია და არ მინდა, იგივე შეცდომა გავიმეოროთ.

**— ეროვნულ ჩემპიონატზე რას იტყვით? ამბობენ, რამდენიმე კლუბი ლამის დაშლის პირასაა მისულიო...**

— ბოლნისის „სიონის“ ვარჯიში ვნახე ამას წინათ და ალალად გამიხარდა, რომ ამ გუნდს ბირთვი შეუნარჩუნებია. „ლოკომოტივის“ საქმეები არ ვიცი... ღმერთმა არ ქნას, რომელიმე გუნდი დაიშალოს. გეფიცებით, ამას ალალად ვამბობ. „ვიტ ჯორჯიას“ ან „დინამოს“ თუ კონკურენტები არ ეყოლა, რა აზრი აქვს ჩვენს წარმატებას? რად მინდა ასეთი ჩემპიონობა ან ვერცხლის მედალი? მინდა, ჩემი ბიჭები ნაღდ ბრძოლაში ვნახო და ასე მივაღწიო რაიმეს. იმედი მაქვს, ასეც იქნება.

**ბახა შალამბერიძე**

# კოლხები ზღვას დაუყვნენ

**სამეორეეტაპო** სამზადისშია ფოთის „კოლხეთი“. ფოთელები კვლავაც შინაურ პირობებში ვარჯიშობენ. გია ტყებუჩავა შეკრების დღიდან ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ამუშავებს გუნდს. კოლხებს ჯერ ერთი საკონტროლო მატჩიც არ გაუმართავთ, გუშინწლა მიიღეს ბათუმელთაგან წინადადება და ალბათ რამდენიმე დღეში ფოთში გაეჯიბრებიან ზღვისპირელები ერთმანეთს.

ტყებუჩავას გუნდი 20 იანვარს ბაკურიანში უნდა წაეყვანა ათდღიან შეკრებაზე, თუმც ეს ვარიანტი ჩაიშალა, რადგან ფოთელებს უკეთესი შანსი გაუჩნდათ. „კოლხეთი“, ტრადიციულად, საშუასეზონო მოსამზადებელ ეტაპს შავი ზღვის კურორტებზე ატარებდა, ძირითადად ბულგარეთში. ეს ტრადიცია ბოლო ორი წელია, რაც დაირღვა, თუმც კლუბის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ორიოდე დღის წინ გამოიძებნა იმის საშუალება, რომ ფოთელებმა კვლავაც ზღვაში შეცურონ. გადაწყვეტილი ამბავია — 5 თებერვალს გუნდი ანთალიაში გაემგზავრება მოსამზადებლად, იქ 20 თებერვლამდე დარჩება და უცხოურ გუნდებთან რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც გამართავს.

წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობა ჯერაც გაურკვეველია, „კოლხეთი“ მხოლოდ თემურ მალანიამ დატოვა. ეს ფორვარდი უკრაინაში გაემგზავრა ბედის საცდელად და კიევურ „არსენალში“ ცდილობს გადასვლას, თუმც გამორიცხული არაა, მალანია ისევ ფოთში დაბრუნდეს და სეზონის განახლებას კვლავაც „კოლხეთში“ შეხვდეს.

**პაატა ქვანტალიანი**


ელექტრონული ბიბლიოთეკა

*სამიოდ დღის წინ თურქეთში მოვარჯიშე დონეცკის „მეტალურგმა“ წლეულს პირველად გაიმარჯვა. გიორგი დემეტრაძისა და გოჩა ჯამარაულის გუნდმა კრასნოდარის „ყუბანი“ მძიმე ბრძოლაში 4:3 დაამარცხა. მატჩს უკრაინის ნაკრების მწვრთნელები, ოლეგ ბლოხინი და ანდრეი ბალიც დაესწრნენ. მოგეხსენებათ, უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი მეტოქეა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში*

# აქაც ლოკომოტივია, ტო?!

## თქვა დემეტრაძემ და ავტობუსიდან გაიტანა

„ყუბანთან“ ჯამარაულმა სრულად ითამაშა, დემეტრაძე კი მოედანზე 65-ე წუთზე გამოჩნდა და 16 წუთში თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტით იხეირა. თუმც იქამდე თურქულ „ადორას“ სპორტკომპლექსს ქართული სენი შეეყარა და დენი გაეთიშა. გუნდებმა ცოტა ხანს იცადეს და იმედი რომ გადაეწურათ, გასახდელებს მიაშურეს. ფეხბურთელები ავტობუსში ჩასაჯდომად ემზადებოდნენ, თურქმა ელექტრიკოსებმა რომ იყოჩაღეს და 11 წუთში სტადიონს სინათლე დაუბრუნეს. მატჩიც ამის შემდეგ განახლდა.

„ყუბანთან“ მოგების მერე კი „მეტალურგი“ ბულგარულ „სლავიას“ გაეჯიბრა და 2:4 დამარცხდა. დონეცკელთა თავკაცმა ვილემ ფრეშმა მეტოქეს მეორე შემადგენლობა დაუპირისპირა.

დღეს ჯამარაულ-დემეტრაძის გუნდი თურქული შეკრების ბოლო ამხანაგურ მატჩს გამართავს რამენსკოეს „სატურნთან“.

# ხიზანეიშვილის შიღბლობამ ვიზა ესპანეთშიც გაიგრძელა



**შაბათს,** 24 იანვარს, მოსკოვის „დინამო“ ესპანეთს ჩავიდა. ჩეხი იაროსლავ გჟებიკის გუნდი პირინეის ნახევარკუნძულზე ორ კვირას დაჰყოფს. ვარჯიშის გარდა, მოსკოველებმა ბლომად ამხანაგური მატჩებიც დაგეგმეს, თუმც საამისოდ ჯერჯერობით ოთხ ფეხბურთელს ვერ გამოიყენებენ — ჩვენებურ ოთარ ხიზანეიშვილს, კოვალენკოს, კატინსუსს და ნესინს სავიზო პრობლემები შეექმნათ და ჯერაც მოსკოვში არიან. „დინამოს“ პრესსამსახურის ცნობით, მწვრთნელებმა ზუსტად არც იციან, შეუერთდება თუ არა ეს ოთხეული გუნდს ესპანეთში. არადა, ხიზანეიშვილმა თურქულ შეკრებაზე თავი მოაწონა იაროსლავ გჟებიკს და დიდი შანსიც იყო, დინამოური მაისურა მოერგო, თუმც სავიზო პრობლემებმა შესაძლოა, მისი გეგმები თავდაყირა დააყენოს.

**ბახა შალამბერიძე**

# აშვეთიას დუბლი მესამე სეტში

**მოსკოვის** „ლოკომოტივმა“ ფრანგული შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა. ორკვირიანი მზადების ბოლო დღეს რკინიგზელებმა ფრანგულ CET-თან ამხანაგური მატჩი გამართეს და 2:1 მოიგეს. იური სიომინის გუნდისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო საფრანგეთში „პერპინიანთან“ და „ოლიმპიკ აგდასთან“ ფრის შემდეგ. იმ მატჩებში გამტან მალხაზ ასათიანს ამჯერად არ გაუტანია, თუმც სამაგიეროდ ტრავმამოშუშებულმა მიხეილ აშვეთიამ მიითვალა დუბლი. მოსკოველთა მეგოლემ მე-5 და 62-ე წუთებზე იყოჩაღა.

აშვეთიაც და ასათიანიც ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და სრულადაც ითამაშეს. „ლოკომოტივის“ მესამე ქართველი რომან ახალკაცი კი 65-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღეში „ლოკომოტივი“ გერმანულ რუიტში გააგრძელებს საახალსეზონო მზადებას.

**ბახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავიდ ტრეზეგეს სამგოლიანი თამაში

# გეშინოდეთ ემპოლის!

## სამი ჩემი, სამიც შენი

### იტალია

სერია A. XVIII ტური

**ემპოლი 3:3 იუვენტუსი**

**1:0 როკი (21), 1:1, 1:2 ტრეზეგე (30, 50), 2:2, 3:2 როკი (55, 62), 3:3 ტრეზეგე (75)**
**ემპოლი: ბუჩი, ლუკინი (პრატალი 73), კრიბარი, ვარგასი, კუპი, ფიჩინი, გრელა, ბუშე, ვანუკი (პ. ძანეტი 69), დი ნატალე, როკი (ტავანო 88)**
**მწვრთნელი: ატილიო პეროტი**
**იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, იულიანო (პესოტო 69), მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი (დი ვაიო 74), ტაკინარდი, ა. კონტე, ნედვედი, დელ პიერო (მიკოლი 69), ტრეზეგე**
**მწვრთნელი: მარჩელო ლიპი**
**გაფრთხილება: ძანეტი**
**მსაჯი: დე სანტისი**
**12 909 მაყურებელი**

ერთ თამაშში ექვსი გოლი ხშირად არ გადის, მით უფრო იტალიაში, სადაც გუნდები დაცვაში განსაკუთრებული დახელოვნებით თამაშობენ. კიდევ უფრო იშვიათია, როდესაც ამ ექვსი გოლიდან სამი ერთ ფეხბურთელს გააქვს, ხოლო სამი მეორეს. ემპოლიში ეს მასპინძელმა ტომაზო როკიმ და ტურინელმა დავიდ ტრეზეგემ შეძლეს, შეხვედრა კი 3:3 დასრულდა. გამოვიდა, რომ „იუვენტუსმა“ ვერ მოიგო იმ დღეს, როდესაც რამდენიმე საათით ადრე „რომამაც“ დაკარგა ორი ქულა, ანუ „ბებერმა ქალბატონმა“ ლიდერობის შანსი გაუშვა ხელიდან, ხოლო „ემპოლიმ“ ერთი კვირის წინ „სან სიროზე“ „ინტერი“ რომ დაამარცხა, ახლა მეორე ბობოლას ახადა სკალპი.

„ვერც კი ვიხსენებ, ბოლოს როდის გავუშვით ამდენი გოლი. წინა წლებში სერია A-ს უძლიერესი დაცვა ჩვენ გვყავდა, ასე რომ, ის, რაც დღეს ჩვენს თავს ტრიალებს, საშიში ტენდენციაა, რომლის აღმოსაფხვრელადაც მუშაობაა საჭირო — განაცხადა მატჩის შემდეგ მარჩელო ლიპიმ, რომელიც კვლავ უარყოფს, რომ მის გუნდს ახალი მცველი სჭირდება — ჩვენს განკარგულებაში ცხრა მცველია და სწორედ ამიტომ არ გვჭირდება ახალი“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტურინელთაგან სამი გოლი ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ გაიტანა. „ტრეზეგეს უკვე შეუძლია კონტრაქტის გაგრძელებას მოაწეროს ხელი, საამისოდ ყველაფერი მზადაა და ამიტომაც ითამაშა მან ასე ლაღად, უკომპლექსოდ. იგი „იუვენტუსის“ წამყვანი ფეხბურთელია და ჩინებული თავდამსხმელი“ — განმარტა მწვრთნელმა.

რაც შეეხება შეხვედრის მეორე ჰეთთრიქის ავტორს, ემპოლელ როკის, მან თქვა:

„იუვენტუსის“ კარში სამი გოლის გატანა იოლი საქმე არ არის. იღბლიანი კვირა გამომადგა, რადგან კლუბთან ახალ კონტრაქტსაც მოვაწერე ხელი“.

საგულისხმოა, რომ როკიმ ცენტრფორვარდის პოზიციაზე მხოლოდ იმიტომ ითამაშა, რომ ამ ამპლუის ფეხბურთელები დაშავებულნი იყვნენ. მან თქვა:

„ჯერ ბევრი რამ მაქვს დასამტკიცებელი, თუმცა იმით, რაც ბოლოხანს მოხდა, ბედნიერი ვარ. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ „ემპოლის“ ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. მე კი ამდენი გოლის გატანა იმიტომ მოვახერხე, რომ თანაგუნდელებმა მაქსიმალურად შემიწყვეს ხელი“.

**ბაპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 18 | 13 | 4 | 1 | 37:8 | 43 |
| მილანი | 17 | 13 | 3 | 1 | 33:8 | 42 |
| იუვენტუსი | 18 | 12 | 4 | 2 | 41:21 | 40 |
| ინტერი | 18 | 9 | 5 | 4 | 29:13 | 32 |
| პარმა | 18 | 9 | 5 | 4 | 26:19 | 32 |
| ლაციო | 18 | 10 | 2 | 6 | 26:21 | 32 |
| სამპდორია | 18 | 7 | 6 | 5 | 22:20 | 27 |
| უდინეზე | 18 | 7 | 6 | 5 | 21:19 | 27 |
| კიევო | 18 | 7 | 4 | 7 | 21:22 | 25 |
| სიენა | 17 | 5 | 6 | 6 | 26:21 | 21 |
| ბოლონია | 18 | 5 | 6 | 7 | 19:24 | 21 |
| ბრეშა | 18 | 4 | 7 | 7 | 27:32 | 19 |
| მოდენა | 18 | 4 | 6 | 8 | 14:24 | 18 |
| რეჯინა | 18 | 3 | 8 | 7 | 16:30 | 17 |
| ემპოლი | 18 | 3 | 4 | 11 | 14:33 | 13 |
| ლეჩე | 18 | 3 | 3 | 12 | 19:35 | 12 |
| პერუჯა | 18 | 0 | 10 | 8 | 20:33 | 10 |
| ანკონა | 18 | 0 | 5 | 13 | 7:35 | 5 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 15 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| ბაცანი (სამპდორია) | 10 |
| ვიერი (ინტერი) | 9 |

# ეს ის არ არის

## რა ეცა თვალში დომინიკს?

*„ემპოლისა“ და „იუვენტუსის“ თამაშით სერია A-ს მე-18 ტური ისე დასრულდა, რომ ცხრილის სათავეში არაფერი შეუცვლია, თუმცა აღსანიშნავი ამბებით მეტად თუ ნაკლებად გამოირჩინა თავი. გთავაზობთ იტალიელი ჟურნალისტის, დომინიკ ანტონიონის გამორჩეულ ამბებს, უფრო სწორად კი მოთამაშეებს*

**ფაბიო ბაცანი** (სამპდორია) — მიუხედავად იმისა, რომ მე-18 ტურში ჰეთთრიქები ვიხილეთ, რომელთაგან იუვენტუსელი დავიდ ტრეზეგეს სამი გოლი, შესაძლოა ფრანგი ვარსკვლავის ფორმის საბოლოო აღდგენად მივიჩნიოთ, სამპდორიელი ბაცანის ორი გოლი „რეჯინას“ კარში უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფეხბურთელმა კიდევ ერთხელ მოაწონა თავი მისით დაინტერესებულ ტიტანებს, „მილანს“, „რეალს“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“.

**ტომაზო როკი** (ემპოლი) — ეს ის კაცია, „იუვენტუსს“ ჰეთთრიქი რომ შეუსრულდა და აქედან ორი ულამაზესი გოლი გამოუვიდა. შეგახსენებთ, რომ როკიმ ერთი კვირის წინ „ინტერსაც“ შეუგდო და ამ ორი თამაშის ჯამში თავის გუნდს ოთხი ქულა მოუპადირა.

**სტივენ მაკინვა** (მოდენა) — „ინტერის“ კარში გოლის გატანაზე უკეთესი დებიუტი ძნელი წარმოსადგენია. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ მაკინვა მოედანზე ყველას სჯობდა. იგი ძალიან ჰგავს „ინტერის“ ობაფემი მარტინსს. გოლსაც კი ერთნაირად ზეიმობენ.

**მარკო დელვეკიო** (რომა) — ხელით გაუტანა „უდინეზეს“ და ისე გამოიქცა ხელებაწეული ვითომ აქ არაფერიო, ყვითელი ბარათი კი ალუმართეს, მაგრამ წითელი უფრო მოუხდებოდა.

**მარკ იულიანო** (იუვენტუსი) — „ემპოლისთან“ ნელა და სამგლად ითამაშა. ამიტომაც გაიტანა ტომაზო როკიმ სამი გოლი და ნურავინ იტყვის, რომ ყოველთვის გუნდი მარცხდება.

**ხავიერ ფარინოსი** (ინტერი) — „ინტერი“ ნახევარდაცვის შუაში შესაფერისი ფეხბურთელის ძებნამ ფარინოსამდე მიიყვანა. არ არის გამორიცხული, რომ არჩევანმა გაამართლოს, მაგრამ მაინც საკითხავია, რატომ დაავიწყდა ფარინოსს ფეხბურთის თამაში? განა ეს და ის ფეხბურთელი, „ვალენსიადან“ რომ გვახსოვს, ერთია?

**ბაპუნა ქედია**



ტომაზო როკის ჰეთ თრიქი მარკ იულიანოს სინდისზეა




ბილბაოელმა ორბაისმა სტუმარი მანუელ პაბლო ვარდნით შეაჩერა

# ბილბაომ იზეიმა

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXI ტური

**ბილბაო 1:0 დეპორტივო**

**1:0 იესტე (60)**
**ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლუის პრიეტო, იესტე (იულენ გერერო 72), ხავი გონსალესი, გურპეგი, დელ ორნო, ტიკო (ორბაისი 46), ესკურო (ლაკრუსი 82), ხ. ეჩებერია, ურსაისი**
**მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე**
**დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, სესარი, კაპდევილა, მაურო სილვა, სერხიო (ჯალმინია 78), დუშერი (მუნიტისი 68), ვალერონი, ტრისტანი, ლუკე (ფრანი 78)**
**მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა**
**გაფრთხილება: სესარი, მანუელ პაბლო**
**მსაჯი: პინო სამორანო**
**32 800 მაყურებელი**

იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო — უთქვამთ ძველ ინგლისელებს. თუმცა აქ ინგლისელებზე კი არა, ესპანელებზე გვექნება ლაპარაკი. უფრო დავკონკრეტდეთ — ბასკებსა და გალისიელებზე.

კვირა ღამეს, თბილისის დროით ბარე ორი საათი იყო, როცა „ბილბაომ“ „დეპორტივო“ დაამარცხა.

არადა, თამაში ისე დაიწყო, მაყურებელი უფრო სტუმართა გამარჯვებას ივარაუდებდა. მაგრამ ბასკთა მეკარე დანიელ არანსუბია სასწაულებს ჩადიოდა და გალისიელებს, წინა სამ შეხვედრაში ათი გოლი რომ გაეტანათ, მეთერთმეტე გოლის გემო არ აგემა.

შესვენების მერე კი სურათი რამდენადმე შეიცვალა და ერთადერთი გოლი „დეპორტივოს“ კარში გავიდა. ფრანსისკო იესტემ ისეთი დაარტყა, ხოსე მოლინა იმის ამღები ნაღდად არ იყო და ვერავინ დაძრახავს.

და რა შუაშია, ბოლოს გაცინება? თუ პრიმერადივიზიონის ამ ტურის ანონსი გახსოვთ, მიხვდებოდით. საქმე ის გახლავთ, რომ ბილბაოელ ფორვარდებს ძალიან ცოტა გოლი გააქვთ და კლუბის უფროსობას ეს ამბავი ბალახისთვის დაუბრალებიათ. რაკი დამნაშავე იპოვეს, წინა კვირაში საფარი შეცვალეს და დაიქადნეს, ახლა ნახეთ, ახალ ბალახზე რამდენ გოლს გავიტანთო. „დეპორტივოს“ ის თამამი განცხადება სასაცილოდ არ ეყო და გაზეთებმაც გვარიანად იცინეს. მართალია, ბილბაოელებმა ვერც „დეპორტივო“ დასეტყვეს გოლებით, მაგრამ ხომ დაამარცხეს?! ჰოდა, ვის, ვის და, „დეპორს“ სასაცილოდ საქმე ნაღდად არ აქვს. გალისიელები ლიდერს ახლა ექვსი ქულით ჩამორჩებიან.

**ქოტე ქექელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 21 | 14 | 4 | 3 | 40:21 | 46 |
| ვალენსია | 21 | 13 | 5 | 3 | 36:15 | 44 |
| დეპორტივო | 21 | 12 | 4 | 5 | 36:17 | 40 |
| ატლეტიკო | 21 | 10 | 5 | 6 | 29:24 | 35 |
| ოსასუნა | 21 | 8 | 9 | 4 | 22:16 | 33 |
| ვილიარეალი | 21 | 9 | 6 | 6 | 28:24 | 33 |
| ბარსელონა | 21 | 8 | 7 | 6 | 28:26 | 31 |
| ბილბაო | 21 | 8 | 6 | 7 | 25:25 | 30 |
| რასინგი | 21 | 8 | 6 | 7 | 28:29 | 30 |
| ვალიადოლიდი | 21 | 7 | 8 | 6 | 26:28 | 29 |
| სოსიედადი | 21 | 7 | 6 | 8 | 27:32 | 27 |
| მალიორკა | 21 | 8 | 3 | 10 | 27:36 | 27 |
| ბეტისი | 21 | 6 | 8 | 7 | 27:24 | 26 |
| მალაგა | 21 | 8 | 2 | 11 | 26:30 | 26 |
| სევილია | 21 | 6 | 7 | 8 | 28:25 | 25 |
| ალბასეტე | 21 | 6 | 4 | 11 | 23:27 | 22 |
| სელტა | 21 | 4 | 9 | 8 | 30:39 | 21 |
| სარაგოსა | 21 | 5 | 5 | 11 | 20:31 | 20 |
| ესპანიოლი | 21 | 4 | 2 | 15 | 17:38 | 14 |
| მურსია | 21 | 1 | 10 | 10 | 19:35 | 13 |

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ისევ ტრაგედია!
## ფეჰერის გული მოედანზე გაჩერდა

*კვირას კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა: 24 წლის ბიჭი მოკვდა, მიკლოშ ფეჰერი! ფეჰერი „ბენფიკას“ მოთამაშე იყო და „გიმარაეშის“ წინააღმდეგ შეხვედრის დროს მოედანზე დაეცა, გულმა უმტყუნა*


მიკლოშ ფეჰერი


„ბენფიკას“ მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ და ლისაბონელმა ფეხბურთელებმა მიკლოშ ფეჰერი მოედანზევე დაიტირეს


ეროვნული ბიბლიოთეკა



უნგრეთის ნაკრების თავდამსხმელი თამაშში მეორე ტაიმის მე-14 წუთზე ჩაერთო, ტრაგედია კი მატჩის ბოლოსწინა წუთზე მოხდა, რაც ძალიან კარგად ასახეს ტელეკამერებმა. მედიკოსთა ყოველგვარი მცდელობა იქვე დახმარებოდნენ წაქცეულს, უშედეგო გამოდგა, ფეჰერი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც თბილისის დროით ღამის ოთხის ათ წუთზე გარდაიცვალა.

სახელდახელო პრესკონფერენციაზე „ბენფიკას“ წარმომადგენელმა კუნიამ განაცხადა:

„ამ ცნობის გავრცელება არავის ენდომებოდა. ჩვენ დაზაფრულები გახლავართ და უპირველეს ყოვლისა, გვსურს თანაგრძნობა მისი ოჯახის წევრებს გამოვუცხადოთ. „ბენფიკას“ ყოველი თანამშრომელი და ფეხბურთელი დასტირის ჩვენს მოთამაშეს მიკლოშ ფეჰერს“.

ჟილბერტო მადაილი, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

„ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სახელით მსურს დიდი გულისწყრომა გამოვხატო. ცხოვრებას ახასიათებს უსამართლო მომენტები და ჩვენ ვწუხვართ, რომ სწორედ ამასთან გვაქვს საქმე. ვიზიარებთ გარდაცვლილის ოჯახის წევრთა და მეგობრების მწუხარებას“.

საოცარია, რომ ფეჰერის სიკვდილამდე ერთი წუთით ადრე „ბენფიკამ“ „გიმარაეშის“ კარში ნანატრი გოლი შეაგდო, ხოლო ამის შემდეგ მსაჯმა დროის გაყვანისთვის უნგრელი ყვითელი ბარათით დასაჯა.

მსაჯი: „რომ დაეცა, იმწუთას მივხვდი, რომ რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა, ერთადერთი, რაც იმწუთას შემეძლო, ორივე გუნდის ექიმების მოედანზე მოხმობა იყო“.

1979 წლის 20 ივლისს დაბადებულმა ფეხბურთელმა ხანმოკლე კარიერა „მიორ ეტოში“ დაიწყო და იქიდან პორტუგალიაში გადაბარგდა, სადაც „პორტუში“, „ბრაგასა“ და „სალგეიროშში“ თამაშობდა, ბოლოს კი „ბენფიკაში“ გადავიდა. უნგრეთის ნაკრებში მიკლოშ ფეჰერის დებიუტი 1998 წელს, აზერბაიჯანის ნაკრებთან შედგა. სულ თავდამსხმელმა 25 სანაკრებო შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ეს ტრაგედია ბოლო შვიდ თვეში უკვე მეორეა. ივნისში, კონფედერაციათა თასის შეხვედრის დროს მოედანზე დაეცა და გარდაიცვალა კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოე.

**პაპუნა ძიძია**

---

## საფრანგეთი

# კინაღამ
## მონაკომ ვალანსიენის ხიდზე გაიარა

დიდიე დეშანის „მონაკო“ ამ სეზონში ასე ჯერ არავის გაუმწარებია. საფრანგეთის თასისკენ მიმავალ გზაზე მონაკოელებს მესამედივიზიონელი „ვალანსიენი“ გადაეყარა და დიდი ბრძოლა გაუმართა.

შეიძლება ითქვას, რომ სტუმართა ძირითად შემადგენლობას მხოლოდ ლუდოვიკ ჟიული აკლდა. უგოლო ფრეს უჟიულობას ალბათ ვერ დააბრალებენ, რადგან ვალანსიენელებმა თამაში ჯიგარი ჩააქსოვეს. ეს არცაა გასაკვირი, ძლიერ გუნდებს ხომ პატარები განსაკუთრებული მონდომებით ეომებიან. ამჯერად სწორედ ეს შემთხვევა იყო.

მასპინძლებმა 82-ე წუთზე გოლი გაახერხეს. ორლანდო სილვესტრმა ფლავიო რომას გაუტანა, მაგრამ სიხარული არ დასცალდა, მსაჯმა დარტყმამდე ხელით თამაში აღნიშნა და „მონაკო“ სირცხვილისგან იხსნა.

ძირითად და დამატებით დროში დიდიე დეშანის ბიჭებმა ვერ ივარგეს, თუმც როცა საქმე პენალტებზე მიდგა, აქ უკვე კლასში სხვაობა უმალ გამოჩნდა. ვალანსიენელთაგან ერთადერთი გოლი სილვესტრის ანგარიშზეა, რომელმაც თავისი ჭია მაინც გაახარა და მსაჯს ჩაათვლევინა.

საფრანგეთის ჩემპიონატის მაჩანჩალა „ტულუზს“ და „ნიცას“ შორის შეხვედრამ გოლები ვერ შვა და იქაც გამარჯვებული თერთმეტმეტრიანების სერიაში გაირკვა.

მოყვარულმა „ფონტენიემ“ „ნანტი“ ერთი საათის განმავლობაში ანერვიულა, რადგან საკუთარ კარს მშრალად ინახავდა. მხოლოდ ვიორელ მოლდოვანის ჯანმა და შეუპოვრობამ გატეხა მოყვარულები. რუმინელის დუბლს მესამე მარიო იეპესმა მიაშველა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### თასის მერვედფინალის წილისყრა

დიჟონი — რეიმსი; ამიენი — კანი; ტულუზი — რენი; ბაიონი — შატო მონაკო — ლიონი; შატორუ — კრეტეი; ნანტი — ბრესტი; ბრივი — ოსერი

*მატჩები გაიმართება 10-11 თებერვალს*

---

# შავი არწივი გააუფთეს


„ბეშიქთაშის“ ეს ქომაგი...

**თურქეთის** ჩემპიონატის ლიდერი „ბეშიქთაში“ აქამდე არ დამარცხებულიყო და გუშინწინ „სამსუნთან“ მატჩიც წააგო და თავიც.

შეხვედრის მე-17 წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ „ბეშიქთაშის“ რუმინელმა პანჩუმ მალევე გაათანაბრა.

25-ე წუთიდან მსაჯ ჯემ პაპილას წითელი ბარათი ხელზე „მიეწება“ და მასპინძლებს დაერია. პირველი მსხვერპლი ძაგო გახდა, შემდეგ, 42-ეზე მოედნიდან იბრაჰიმი მიაბრძანა, მას კი ტაიმის დასრულებამდე აჰმეთ ილდირიმი გზაში დააწია.

რვაკაცა „ბეშიქთაშს“ სტუმარმა „სამსუნმა“ მეორე ნახევრის საწყის 22 წუთში კიდევ სამი გოლი მიართვა და ანგარიში 1:4 გახდა.

დაზაფრულმა სტამბოლელებმა ფეხები აილესეს და მეტოქის ცელვას მიჰყვნენ. 69-ე წუთზე პანჩუ გააგდეს, 85-ეზე კი ილჰან მანსიზი. „შავი არწივი“ ექვსი ფეხბურთელის ამარა დარჩა და მსაჯმა თამაში შეწყვიტა. განრისხებულმა ქომაგებმა მოედანზე ნივთების სროლა დაიწყეს, მასპინძელთა კლუბის პრეზიდენტი სინან ენგინი ჯემ პაპილს გასახდელისკენ მიმავალ დერეფანში გასატყეპად გამოეკიდა (როგორ უყვართ თურქებს გასახდეში ჩხუბი!), ერთ-ერთი გულშემატკივარი ცუდად გახდა და მოსასულიერებელი შეიქნა, მოკლედ, ძალიან დიდი არეულობა იყო.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარების თქმით, „ბეშიქთაშს“ 0:4 წაგებას ჩაუთვლიან, კლუბს მსუყე ფულად ჯარიმას აჰკიდებენ, გაძევებულებს — დისკვალიფიკაციას. პანჩუს, იბრაჰიმსა და აჰმეთს ორი მატჩის, ძაგოს და ილჰან მანსიზს კი თითო შეხვედრის გამოტოვება მოუწევთ.

„ბეშიქთაშის“ რუმინელ მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუს თქმით, ეს არის შეთქმულება მისი გუნდის წინააღმდეგ.

**რომან თურქია**


...მსაჯის წითლებმა შეაღონა

# განხეთქილების ცხენი

## გამოძიება ფერგიუსონის ფსონებს თავლდევს

*ინგლისის უძლიერესი და მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“ კრიზისისწინა ვითარებაშია ჩაფლული. ასეთი ვითარება კლუბში არ ყოფილა 1971 წლის შემდეგ, როცა მენეჯერობიდან გადადგა მატ ბასბი, გუნდი კი მალევე გავარდა დაბალ ლიგაში*





ჯონ მანიე ალექს ფერგიუსონისთვის „მანჩესტერს“ ერთი წლით იმეტებს

ამ კვირაში ბევრი რამ გაირკვევა, მათ შორის კი მთავარი — გააგრძელებს თუ არა გუნდის მართვას სერ ალექს ფერგიუსონი, რომელსაც კლუბის ორი უდიდესი მეწილე გამზადებულ ახალ კონტრაქტს უჯანჯლებს. ეს ორი კაცია ჯონ მანიე და პიჯეი მაკმანუსი, რომელთაგან პირველს კონფლიქტი აქვს ფერგისთან განთქმული ცხენის, „როკ ოფ ჯიბრალტარის“ თაობაზე და საქმე ირლანდიურ სასამართლოში ძევს.

ეს ის ცხენია, რომელიც ირლანდიელმა მანიემ თავის დროზე სანახევროდ აჩუქა ფერგიუსონს, ეს კი აცხადებს მთლიანად მაჩუქაო. სწორედ ეს ამბავია საფუძველი იმ სირთულისა, კლუბში რომ ტრიალებს.

მანიე და მისი მეგობარი მაკმანუსი უცხადებენ სხვა მეწილეებს, რომ ფერგიუსონის კონტრაქტი მხოლოდ ერთწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან მათი დაქირავებული ხალხი ფერგიუსონის მთელ მანჩესტერულ საქმიანობას და სატრანსფერო პოლიტიკას იძიებს.

მთელი ამ ამბის მიზეზი სწორედ ცხენია, ვინაიდან მანიე ნაწყენია ფერგიუსონზე და საერთოდაც, უტეხი სიტყვის კაცადაა ცნობილი. ამიტომაც ის მენეჯერის მთელი საქმიანობის კვლევას შეუდგა.

„მანჩესტერის“ მთელი საბჭო, დირექტორები და ფანი აქციონერები ფერგიუსონს უჭერენ მხარს. ისინი ამბობენ, რომ მენეჯერმა ამ კვირაშივე უნდა მოაწეროს ხელი ახალ, თვენახევრის წინ გამზადებულ ოთხწლიან კონტრაქტს.

ამ ვითარებაში დუმს კლუბის პასუხისმგებელი შეფი დევიდ გილი, რომელიც მას შემდეგ მოვიდა კლუბში, რაც მისი წინამორბედი პიტერ კინიონი რომან აბრამოვიჩმა გადაიბირა „ჩელსიში“ იმავე თანამდებობაზე. გილის დუმილი სიტუაციას ძალიან ართულებს.

თუმცა, გილმა ტრანსფერებზეც უნდა ილაპარაკოს და გამოამზეუროს კრისტიანო რონალდოს, ტიმ ჰოვარდის, კლებერსონის და დავიდ ბელიონის ყიდვის დეტალები. თუ ამ საქმეებში ყველაფერი ნათელი იქნება, მანიეს გამოძიებას კბილები დაცვივდება. მისგან ნაქირავები „კროლის ასოციაცია“, კერძო გამოძიების ფირმა ახლა იკვლევს ფერგის ტრანსფერებს და კერძოდ კი იმას, მონაწილეობდა თუ არა ამ საქმეებში მენეჯერის ვაჟი ჯეისონ ფერგიუსონი. არის ეჭვი, რომ ჰოვარდის ტრანსფერში 139 ათასი გირვანქა ჯეისონის პარტნიორს მაიკ მორისს მიუვიდა. ასევე ამბობენ, რომ ჯეისონის „ელიტ სპორტს გრუპი“ ბელიონს უხდიდა ფულს, როცა „მანჩესტერი“ მის „სანდერლენდიდან“ გადაყვანას ცდილობდა.

აქ ის უნდა გავიხსენოთ, რომ ორი წლის წინათ კლუბმა ფერგი გააფრთხილა, ჩვენს საქმეებში ჯეისონს ნუ ჩართავ, ვინაიდან ეს ინტერესთა კონფლიქტს გამოიწვევსო.

ფერგიუსონისთვის ცუდი ისაა, რომ „კროლი“ მის პირად ცხოვრებასაც იძიებს, კერძოდ, მის მეფსონეობისკენ მიდრეკილებას და კაცმა არ იცის, აქედან რა გამოდნება.

„მანჩესტერს“ არ აწყობს ხანგრძლივი გამოძიება, ამიტომ გილმა ყოველი ქაღალდი უნდა გამოამზეუროს.

მანიე უკან დახევას არ აპირებს, იმის მიუხედავად, რომ ის და მაკმანუსი მსოფლიოს ყველაზე მომგებიან საფეხბურთო ბიზნესს აკონტროლებენ და ეს ბიზნესი საუცხოოდ მუშაობს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩვენ დიდი გვინდოდა არსენალი, ჩელსი და ბედისწერა



არსენ ვენგერის „არსენალი“–

## ინგლისი

**თასის მერვედფინალის წილისყრა**

**მანჩესტერ იუნაიტედი — ტოტენჰემი ან მანჩესტერ სიტი; ტრანმერი — სუონსი; ტელფორდი ან მილუოლი — ბარნლი; სანდერლენდი — ბირმინგემი; შეფილდ იუნაიტედი — კოლჩესტერი ან ქოვენთრი; არსენალი — ჩელსი; ლივერპული — პორტსმუთი; ფულემი ან ევერტონი — ვესტ ჰემი**

***მატჩები გაიმართება 14-15 თებერვალს***

წილისყრის შედეგებისთვის თვალის გადავლებისას უპირველესად „არსენალი“ — „ჩელსის“ წყვილი მოგხვდებოდათ თვალში. თუმცა ინგლისის ასოციაციის თასის წინა წლების ამბები თუ გახსოვთ, ეს გუნდები უთუოდ უნდა გადაეყარნონ ერთმანეთს შეჯიბრის ამა თუ იმ ეტაპზე.

2001 წელს „არსენალი“ და „ჩელსი“ მეხუთე რაუნდში შეხვდნენ და „მეთოფეებმა“ იმარჯვეს. მომდევნო წელს ისინი ფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და მატჩი ისევ „არსენალის“ გამარჯვებით დასრულდა. შარშან მათი გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთა და ისევ „არსენალის“ გამარჯვებით დასრულდა.

სხვათა შორის, „არსენალს“ კარგი შანსი აქვს, პირველი კლუბი შეიქნას, რომელსაც ზედიზედ ოთხჯერ გაუღწევია თასის ფინალში და 1886 წლის მერე პირველი კლუბი გახდეს, რომელიც ზედიზედ სამჯერ მოიგებს ევროპის უძველეს ჯილდოს.

წილისყრის შედეგებს ყველაზე უცნაური რეაქცია კი მესამე დივიზიონელი „სუონსი სიტის“ უფროსობის მხრიდან მოჰყვა. თითქოს მეტი რა უნდა სურდეთ — რომელიმე ბობოლა კი არა, მეორედივიზიონელი „ტრანმერ როვერსი“ გადაეყარათ. სუონსელები კი ამბობენ, იმედგაცრუებულნი დავრჩით, გვერჩივნა, პრემიერლიგის რომელიმე გუნდი გვრგებოდაო. კაცია და გუნება.

**ირაკლი ნინიძე**



-კლაუდიო რანიერის „ჩელსის“ ვერ აცდა



# გაზას თავური

*მხიარულმა გაზამ უქმეებზე ფეხბურთი ითამაშა. დარლინგტონში მატჩი, ცხადია, საქველმოქმედო იყო, ოღონდაც, მოედანზე გამოსვლის წინ გაზას ფეხი დაუცდა და გვირაბში გაიშხლართა. 30 წლის ფეხბურთელი მკვირცხლად წამოხტა და მოსეირეებმაც მაშინ შეამჩნიეს, რომ გაზას ცხვირი გატეხილი ჰქონდა.*

*„ეს იმ დღეს მომივიდა — გაიცინა პოლმა — პაბის კარს მივარტყი. ვიფიქრე, კარს თავით დავეტაკები და პაბში ისე შევვარდები-მეთქი. ეს ხალხს გაახალისებდა. ჰოდა, გამოვქანდი. შუშა ჩატყდა და...“*



## ბელგია

**იუპილერლიგა. XIX ტური**

**ბრიუგე 5:0 სერკლ ბრიუგე**

1:0 კლემანი (59), 2:0 ვერბეკი (61), 3:0 მენდოსა (68), 4:0 ვერბეკი (82), 5:0 მენდოსა (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 19 | 17 | 1 | 1 | 49:14 | 52 |
| სტანდარდი | 19 | 12 | 4 | 3 | 38:17 | 40 |
| გენკი | 19 | 10 | 4 | 5 | 39:25 | 34 |
| მუსკრონი | 19 | 9 | 7 | 3 | 38:24 | 34 |
| ბრიუგე | 19 | 9 | 4 | 6 | 37:23 | 31 |
| სენტ ტრუიდენი | 19 | 7 | 7 | 5 | 23:24 | 28 |
| ვესტერლო | 19 | 7 | 7 | 5 | 22:25 | 28 |
| გენტი | 19 | 6 | 8 | 5 | 21:18 | 26 |
| ბევერენი | 19 | 8 | 1 | 10 | 26:30 | 25 |
| ლუვიე | 19 | 5 | 9 | 5 | 25:24 | 24 |
| ბეერსხოტი | 19 | 6 | 6 | 7 | 17:22 | 24 |
| ლიერსი | 19 | 4 | 9 | 6 | 19:22 | 21 |
| სერკლი | 19 | 4 | 8 | 7 | 15:29 | 20 |
| ლოკერენი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:32 | 17 |
| მონსი | 19 | 3 | 7 | 9 | 19:30 | 16 |
| ჰეუსდენი | 19 | 4 | 4 | 11 | 18:33 | 16 |
| შარლერუა | 19 | 3 | 6 | 10 | 14:23 | 15 |
| ანტვერპენი | 19 | 3 | 3 | 13 | 13:39 | 12 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XIX ტური**

**გიმარაეში 0:1 ბენფიკა**

0:1 აგიარი (90)

**ბოავიშტა — ბეირა მარი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 19 | 16 | 3 | 0 | 44:11 | 51 |
| სპორტინგი | 19 | 15 | 1 | 3 | 38:18 | 46 |
| ბენფიკა | 19 | 12 | 4 | 3 | 38:19 | 40 |
| ბრაგა | 19 | 10 | 3 | 6 | 21:24 | 33 |
| ბეირა მარი | 18 | 9 | 4 | 5 | 28:22 | 31 |
| მარიტიმუ | 19 | 7 | 9 | 3 | 21:18 | 30 |
| ნასიონალი | 19 | 8 | 3 | 8 | 32:20 | 27 |
| ბოავიშტა | 18 | 7 | 6 | 5 | 17:14 | 27 |
| რიუ ავე | 19 | 6 | 7 | 6 | 21:17 | 25 |
| მორეირენსე | 19 | 6 | 5 | 8 | 16:23 | 23 |
| ჟილ ვისენტე | 19 | 5 | 7 | 7 | 26:23 | 22 |
| ლეირია | 19 | 6 | 4 | 9 | 23:31 | 22 |
| ალვერკა | 19 | 5 | 4 | 10 | 19:25 | 19 |
| ბელენენსეში | 19 | 4 | 7 | 8 | 24:34 | 19 |
| გიმარაეში | 19 | 3 | 6 | 10 | 18:26 | 15 |
| აკადემიკა | 19 | 4 | 3 | 12 | 15:25 | 15 |
| ფერეირა | 19 | 4 | 2 | 13 | 10:29 | 14 |
| ამადორა | 19 | 3 | 2 | 14 | 14:46 | 11 |

**II ლიგა. XIX ტური**

სანტა კლარა — სალგეირუში 1:0; ფელგეირაში — კოვილია 3:1; ოვარენსე — შავეში 1:1; ავეში — ფეირენსე 2:1; ეშტორილი — ნავალი 4:0; სეტუბალი — პენაფიელი 0:0; მაია — პორტიმონენსე 1:0; ლეიშოეში — მადეირა 1:1; მარკუ — ვარზიმი 1:2



# თეთრი ბაირაღი ლოტინასთვის

## სელტას თავი მოაძვრეს

ესეც ასე, გალისიელთა მოლოდინი გამართლდა: გუშინ ვიგოს „სელტას" პრეზიდენტმა ორასიო გომესმა გუნდიდან მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა დაიფრინა. არადა, ლოტინა ის სპეციალისტია, რომელმაც „სელტა" პირველსავე სეზონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა.

ლიგა ლიგად და, ვიგოელთა აწ უკვე ყოფილ მწვრთნელს პრეზიდენტმა კვირას შინ, „ბალაიოდესზე" ბასკურ „სოსიედადთან" 2:5 განადგურება არ აპატია. მოთმინების ფიალა ინჩასებსაც აევსოთ და მათ ნამარცხევს თეთრი ცხვირსახოცებიც აუფრიალეს ლოტინას, ეს კი, როგორც იცით, კაპიტულაციის ნიშანია.

ამრიგად, „სელტა" უმწვრთნელოდაა. ორასიო გომესი ახალი თავკაცის დანიშვნას ჯერ არ ჩქარობს, ნაუცბათევი გადაწყვეტილების მიღება არ ეგებისო. ისიც სათქმელია, ვიგოელებს ჯერ კანდიდატურაც კი არ შეურჩევიათ.

„ახალ მწვრთნელს მალე დავნიშნავთ, ვის, ჯერ არ ვიცით" — ამბობს პრეზიდენტი გომესი.

„სელტა" კი პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერია.

**აბესალომ ქურდოვანიძე**



*პრიმერადივიზიონის მე-17 ტურში „ვილიარეალთან" საშინაო მატჩის დათმობის შემდეგ ვიქტორ ფერნანდესის „ბეტისმა" სიტყვა „წაგება" თავისი საფეხბურთო ლექსიკონიდან ამოაგდო. „ვალიადოლიდი", „მალაგა" მადრიდის „რეალი", „ესპანიოლი" — ვერც ერთმა აქ ჩამოთვლილ გუნდთაგან სევილიელთა მარცხით გახარება ვერ მოახერხა. 25 იანვარს კი სევილიელები სტუმრად, „ესტადიო ოლიმპიკოზე" „ესპანიოლს" გაუსწორდნენ — 2:1. ქვემოთ გაეცანით „ბეტისისა" და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველის, ხოაკინ სანჩესის ინტერვიუს, რომელიც ესპანურ „ლიბრედირექტოში" გამოქვეყნდა*

# ხოაკინი ოცნებას არ გამოეკიდა

— თქვენი პირველი შთაბეჭდილება „ესპანიოლთან" გამარჯვების შემდეგ?

— ბუნებრივია, კმაყოფილების გრძნობა, საჭირო 3 ქულა მოვიპოვეთ. კარგი თამაშიც იყო.

— „ესტადიო ოლიმპიკოზე" „ბეტისი" თავის სიძლიერეში დარწმუნებული ჩანდა, ისევე როგორც პრიმერას ბოლო რამდენიმე მატჩში...

— გეთანხმებით. წინა მატჩებში ჩვენმა სიზუსტემ სიმშვიდე და მიზანდასახულობა შეგვმატა. „ბეტისი" მოედანზე თავიდანვე გამარჯვებულის განწყობით გადის, პესიმიზმი ჩვენთვის უცხოა და ამიტომაც იღბალი ხშირად გვწყალობს.

— თქვენი თამაშის შესახებ რას გვეტყოდით?

— ხოაკინის სათამაშო აქტივობა გუნდის წარმატებასთან ერთად იზრდება. ვფიქრობ, რომ „ოლიმპიკოზე" ცუდად არც მე მითამაშია.

— 4 მოგებული მატჩის მერე საფეხბურთო სევილია რაიმე დიდ ფიესტას ხომ არ გეგმავს?

— არა. ყოველი შეხვედრის შემდეგ ჩვენი მთავარი საზრუნავი ოდენ მომდევნო მატჩია. ესე იგი, ახლა „სელტასთან" დაპირისპირებაზე ვფიქრობთ. შორეული ოცნებების გამოკიდება ამქვეყნად არც ერთ გუნდს არ გამოადგება.

— ისევ თქვენს თამაშს დავუბრუნდეთ. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიური მინდორი უგოლოდ დატოვეთ, მეტოქე მაინც ააფორიაქეთ...

— გმადლობთ. რა თქმა უნდა, ბურთის გატანა მინდოდა, მაგრამ რახან თამაში ჩვენ მოვიგეთ, მე ამითაც კმაყოფილი ვარ. გოლის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი, წლეულს საკმარისად შევაწუხე მოწინააღმდეგეთა მეკარეები.

— რას უსურვებს ხოაკინი პრიმერას იმ გუნდებს, რომელთაც უახლოეს მომავალში „ბეტისთან" უწევთ ძალების მოსინჯვა?

— არ ვისურვებდი მათ ადგილას ყოფნას. ეს ხუმრობით, ისე კი მსურს, ყველას ვუთხრა — ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ჩემპიონატის ლიდერს ვეჯიბრებით თუ აუტსაიდერს. ასე რომ, ზედმეტი სიფრთხილე არ აწყენდათ.

# ათენში სამბას არ იცეკვებენ

## ოლიმპიური ბრაზილია სახლში დარჩა

*იმათი დროით კვირას, ჩვენი დროით კი გუშინ, ჩილეს ვინა დელ მარში ვისთვის პატარა, ვისთვის კი დიდი სასწაული მოხდა — ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრები პარაგვაის ნაკრებთან 0:1 დამარცხდა*

ერთი შეხედვით, ვის არ წაუგია. იმავ ბრაზილიის ეროვნული გუნდი წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მიჯრით წაგებების მერე ძლივს გავიდა და კორეა-იაპონიაში კი რაც ქნა, არ გესწავლებათ. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ ამ მარცხის მერე ბრაზილია ათენის ოლიმპიადის მიღმა დარჩა.

ოლიმპიადის შესარჩევი ეტაპის სისტემა ამგვარი იყო: წინასწარი ტურნირის მერე სამხრეთ ამერიკის ოთხი საუკეთესო გუნდი ჩილეში შეიყარა ორი ფინალისტის ვინაობის გასარკვევად. ეს გუნდები ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი და ჩილე იყვნენ.

კვირას, ოთხთა ფინალის ბოლო დღეს, არგენტინამ მასპინძელი ჩილე დაამარცხა და ათენში გამგზავრება გაინაღდა. ბოლო ტურის მეორე მატჩში სამქულიან ბრაზილიას ამდენივექულიან პარაგვაისთან ფრეც ხელს აძლევდა, რაკი ბურთების უკეთესი შეფარდებით მეორე ადგილზე გადიოდა, თანაც წინასწარ ეტაპზე ბრაზილიას პარაგვაისთვის 3:0 ჰქონდა მოგებული.

ამჯერად კი მოხდა ის, რაც თავშივე მოგახსენეთ — ბრაზილიამ 0:1 წააგო. ეს გოლი ბრაზილიელებმა პირველ ტაიმში გაუშვეს და მეორე ტაიმში მართალია, ოთხი თავდამსხმელით ითამაშეს, მაინც ვერაფერს გახდნენ. პარაგვაის ტრადიციულად ძალიან ძლიერი დაცვა ჰყავს და მეკარე დიეგო ბარეტომაც დიდებულად ითამაშა.

ამგვარად, ბრაზილია, რომლის შემადგენლობაშიც ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის, „სანტოსის" ხუთი ფეხბურთელი თამაშობდა — მათ შორის, დიეგუ და რობინიო — ოლიმპიადაზე ვერ მოხვდა. უფრო საინტერესო კი ის არის, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს ოლიმპიური ოქრო არასდროს მოუგიათ, არადა, ამ ტურნირს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან.

ბოლო ოლიმპიადაზე, თუ გახსოვთ, საოცარი რამ მოხდა — ნახევარფინალში ბრაზილია კამერუნს უგებდა, აფრიკელებს ორი ფეხბურთელი გაუგდეს და მაინც კამერუნმა მოიგო. უფრო ადრე კი, 1988 წელს, სეულის ოლიმპიადის ფინალში ბრაზილია გელა კეტაშვილის საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა.

**ირაკლი ნინიძე**



რობინიოს ეწყინა და ცივი წყალი დალია

# შავი მარგალიტის სიკვდილი

**სან პაულუში** 90 წლისა გარდაიცვალა დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელი ლეონიდას და სილვა, ხალხისთვის უბრალოდ ლეონიდასი. 1974 წლიდან ლეონიდასი ალცჰაიმერის საშინელი სენით იყო ავად. ლეონიდასი ჯადოქრების განუმეორებელი ეპოქის, 30-იანი წლების ვარსკვლავი იყო: იმ დროისა, როცა ფეხბურთი გაზეთით, რადიოთი და კინოქრონიკით ვრცელდებოდა.

რიო დე ჟანეიროში დაბადებული ლეონიდასი იქაურ კლუბებში, „ფლამენგოში" და „ვასკუ და გამაში", „ბოტაფოგოში", ასევე „სან პაულუში" და ურუგვაის „პენიაროლში" თამაშობდა.

ლეონიდასი იყო ბრაზილიური ფეხბურთის პირველი ნამდვილი და საერთაშორისო ვარსკვლავი, ბურთის ვირტუოზი, ჟონგლიორი და ნაირგვარი, მანამდე უცნობი დარტყმების გამომგონებელი, რომელთა შორისაც აუცილებლად უნდა ვახსენოთ მაკრატელა. ეს დარტყმა იმ დროში სწორედ მან შეასრულა პირველად და მერეღა გავრცელდა მსოფლიოში.

მოქნილობის გამო ლეონიდასს „რეზინის" კაცს, ევროპაში კი „შავ მარგალიტს" უწოდებდნენ.

მან ითამაშა ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე. 1934 წელს, როცა ბრაზილია პირველივე წრეში გავარდა, მან თავისი გუნდის ერთადერთი გოლი გაიტანა, 1938 წელს კი 8 ბურთით მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარმეგოლე შეიქნა, ხოლო ბრაზილიელები მესამე ადგილზე გავიდნენ.

სულ ლეონიდასმა 26-ჯერ ითამაშა ნაკრებში და იქ 25 გოლი გაიტანა.

ლეონიდას და სილვას სან პაულუში დაკრძალავენ.



ლეონიდასმა ფეხბურთს „მკრატელა" აჩუქა

## აფრიკის ეროვნებათა თასი 2004
## ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

# ლუა ლუა საჯარიმოში ბლუა



კონგო — გვინეა 1:2. კონგოელთა კაპიტანი ლომანა ტრეზორ ლუა ლუა ჩვეულად ვერ ჩაუქობდა

**C ჯგუფი. I ტური**

**ზიმბაბვე 1:2 ეგვიპტე**

1:0 ნდლოვუ (46), 1:1 აბდელჰამიდი (58), 1:2 ბარაქათი (63)

**კამერუნი 1:1 ალჟირი**

1:0 მბომა (43), 1:1 ზაფური (52)

აფროფეხბურთის მთავარზეიმის მეორე დღეს სამ მატჩში გატანილი რვა გოლი ცოტა არაა, მაგრამ შავი კონტინენტის მობურთალთაგან ხომ ზოგადად უხვგოლიანობას ელიან.

სამივე შეხვედრა ერთი ნიშნის ქვეშ გაერთიანდა: გუნდებმა, რომლებიც დაწინაურდნენ, საბოლოოდ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს.

რიგის მიხედვით მივყვეთ: მასპინძელთა ჯგუფის მეორე მატჩში დემოკრატიული კონგო გვინეელებს შეეხალა. პირველი ტაიმში დემოკრატებმა მეტოქე მისხალ-მისხალ დაჩაგრეს. უკეთესად ირბინეს, ითამაშეს, გვინეელი მეკარე კემოკო კამარა ახტუნავეს, მაგრამ უკლასობის გამო ოდენ ერთხელ იხეირეს. მარსელ მბაიოს მარცხენაფლანგურ გარღვევას კარის წინ პასი და იქ მოხეტიალე ალენ მასუდის საგოლე დარტყმა მოჰყვა.

კონგოელებმა მეტი რომ ვერ შეაგდეს, ლომანა ტრეზორ ლუა ლუას ბრალია, რაც ნამატჩევს თავად ფეხბურთელმაც აღიარა. „ნიუკასლის“ ფორვარდმა ბლომად მომენტები გაანიავა.

შესვენების შემდეგ თხუთმეტიოდა წუთი თანაბარძალოვანი ფეხბურთი გაჩაღდა, მერე კი გვინეელებმა იძალეს და დაწიოკებული კონგოლები მეტოქის იერიშებს ენაგადმოგდებულნი იგერიებდნენ.

„ლივერპულისა“ და გვინეური ფეხბურთის ქომაგებს აბუბაქარ ტიტი კამარა ალბათ ეხსომებათ. ოდესღაც „ენფილდზე“ გრიალით გადასული ფორვარდი ახლა თურმე ყატარულ „ალ-სილიიაში“ თამაშობს. სწორედ მან შეძლო ანგარიშის გათანაბრება. გვინეელთა გამართულმა ბურთაობამ მეორედ შეხვედრის მიწურულს იბარტყა. „ბორდოს“ ნახევარმცველმა პასკალ ფეინდუნომ მოწინააღმდეგე მცველების პირღიაობით ისარგებლა და ბურთი კარში იოლად შეაგორა.

კონგოს ინგლისელმა მწვრთნელმა მიკ უოლსუორთმა, მარცხის მიზეზზე საუბრისას აღნიშნა: „ერთი საათის მანძილზე სრულ უპირატესობას ვფლობდით და მხოლოდ ერთხელ გავიტანეთ, მეტოქემ ნახევარ საათში ორით გვიპასუხა. ჩემი გუნდი ბოლო 30 წუთში მოიშალა, დაირღვა და მონაპოვარი თვალსა და ხელს შუა გაქრა. წაგებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ, თუმც რამდენიმე ფეხბურთელსაც მოვკითხავ“.

გვინეელთა თავკაცი მიშელ დიუსუიე: „კონგომ პირველ ტაიმში გვაჯობა, მაგრამ შესვენებისას ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი ცხვირი არ ჩამოუშვათ და იბრძოლეთ-მეთქი. მოწინააღმდეგემ მეორე ნახევარში ანგარიშის შენარჩუნება მოიწადინა და სივრცე დაგვითმო, ჩვენ კი ასეთ შემთხვევაში ძალიან სახიფათონი ვართ“.

ლომანა ტრეზორ ლუა ლუა: „სამი და მეტი გოლის გატანა შემეძლო, თუმც შანსი ვერ გამოვიყენე. „ნიუკასლის“ შემადგენლობაში ბოლო დროს ძალიან ცოტას ვთამაშობ და უპრაქტიკობა დამეტყო. დასანანია, რომ წავაგეთ, მაგრამ აქ ტურისტებად არ ჩამოვსულვართ და მომდევნო შეხვედრაში ტუნისთან მოსაგებად ვიბრძოლებთ“.

C ჯგუფის პირველ მატჩში თასის ოთხგზის მფლობელი ეგვიპტე დებიუტანტ ზიმბაბვეს ეჯაჯგურა და სამი ქულა მეორე ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში გამოგლიჯა.

დებიუტანტებმა შესვენებამდე კარი მშრალად შეინახეს, რაც მეკარე ენერჯი მურამბადორის დამსახურებაა. იგი შარშან თავის ქვეყანაში საუკეთესოდ აღიარეს და არ შემცდარან.

ზიმბამბველებმა მეტოქეს მიმოხედვაც არ აცალეს და მეორე ნახევრის დასაწყისში სწრაფად დაწინაურდნენ. ჩარლზ იოჰანეს გამოზომილმა პასმა ეგვიპტელი მცველები „გააუქმა“ და ეულად მიტოვებულმა პეტერ ნდლოვუმ ნადერ ელ საიედს თავით გაუტანა.

არაბთა საპასუხო გოლი ზიმბაბველი მცველის კაიტანო ტემბოს შეცდომას მოჰყვა. საჯარიმოდან გამოსვლისას მან ბურთი ტამურ აბდულჰალიმს ვერ ააცილა და ეგვიპტელმა ძლვენი შეირგო, მოხელთებულ ბურთს ძლიერად და ზუსტად დაჰკრა.

მურამბადორის კარში მალე მეორე გოლიც გავიდა. შეცვლაზე ახალშესული მოჰამედ ბარაკატი იღბლიანი აღმოჩნდა და პირველივე შეხებით იხეირა.

თავის მხრივ უშანსოდ ზიმბაბველებიც არ ყოფილან. ვილფრედ მუგეიის მატჩის ბოლოს, მეტოქის კარის წინ გაგორებული ბურთისთვის რომ მიესწრო, ევებ ქულაც გადაერჩინა.

აფრიკის ეროვნებათა თასის ოთხგზის და ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებული, ტურნირის მთავარი ფავორიტი კამერუნი ალჟირელებთან შეხვედრაში ოდენ ფრეს დასჯერდა. კამერუნელ „ლომთა“ თამაშიდან გამომდინარე, მათ დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ, რადგან მოედანზე ისე დაჰქროდნენ, რომ მეტოქეს თავბრუ დაახვიეს. თითქმის ყოველ შეტევას ალჟირელთა კართან გოლის სუნი ასდიოდა, მაგრამ ლომანა ლუა ლუას სენი სამუელ ეტოოსაც შეჰყრია. „მალიორკას“ ფორვარდმა ისეთები ვერ გაიტანა, რაც ვინფრიდ შეფერს ბოლოს ორ ქულად დაუჯდა.

აღსანიშნავია, რომ 2000 წელს ნიგერიასთან მოგებული ფინალის შემდეგ კამერუნელებს ამ ტურნირში გოლი არ გაეშვათ და მათი „დასველება“ ალჟირელებმა მოახერხეს.

პირველ ტაიმში ანგარიში „ლომებმა“ გახსნეს. მოდესტ მბამის კოხტა პასით ჯერემმა მარჯვენა ფლანგზე ჩაიქროლა და ბურთი კარის წინ გააქანა, სადაც პატრიკ მბომამ ვარდნაში მოხდენილი თავურით გაიტანა.

ალჟირმა მეორე ნახევრის დასაწყისში გაქვითა. კუთხურის გათამაშების შემდეგ ბურთი ბრაჰიმ ზაფურს მიუვიდა, რომელიც მოედანზე ხუთიოდ წუთის შესული გახლდათ. მისმა დარტყმულმა კამერუნელი მცველებიც გაარღვია და მეკარე იდრის კამენიც გახევებული დატოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ალჟირი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კამერუნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზიმბაბვე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

**II ტური, 29 იანვარი**

**კამერუნი — ზიმბაბვე**

**ალჟირი — ეგვიპტე**



**უკრაინელ** ფორვარდ სერგეი რებროვს ლონდონის „ტოტენჰემის“ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლა გადაუწყვეტია. იცით, ინგლისურმა კლუბმა იგი თურქულ „ფენერბაჰჩეში“ გაანათხოვრა, მაგრამ უკრაინელს სტამბოლში გაჩერება არ სურს. „მე ჯერ კიდევ „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი ვარ და ლონდონში აუცილებლად დავბრუნდები, თუ ძირითადში თამაში კვლავაც არ მეღირსა, სხვა ინგლისურ კლუბში გადავალ — ამბობს რებროვი.

**ფრანგულმა** „ლილმა“ ლონდონის „ტოტენჰემისგან“ სეზონის ბოლომდე სლოვენიელი მილენკო აჩიმოვიჩი ინათხოვრა. 26 წლის ფეხბურთელი ინგლისური კლუბის ძირითად შემადგენლობაში არცთუ ისე ხშირად ხვდებოდა და ამიტომ საფრანგეთში გადასვლის წინააღმდეგი არ ყოფილა.

**იტალიური** „მილანის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა, კლარენს ზეედორფმა გუნდის სხვა ლიდერების დარად, „შავ-წითლებთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა. „მილანში“ იგი ერთი წლის წინ, თანაქალაქელ „ინტერიდან“ გადავიდა და მყისვე ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი გახდა. ამასთანავე, ზეედორფი ის ერთადერთი ფეხბურთელია, ევროპის ჩემპიონთა თასი სამი სხვადასხვა კლუბის — ამსტერდამის „აიაქსის“, მადრიდის „რეალისა“ და „მილანის“ რიგებში რომ მოუგია.

**ფრანგული** „მარსელი“, რომელმაც სეზონი მშვენივრად დაიწყო, ახლა კრიზისშია და გამოსავალს ეძებს. მწვრთნელის, ალენ პერენის შეცვლისა და კლუბში მეკარე ფაბიენ ბარტეზის დაბრუნების შემდეგ, უფროსობა კიდევ ერთ თანამემამულეს, საბრი ლამუშის მიადგა. 32 წლის ნახევარმცველმა შარშანდელი სეზონი „პარმას“ რიგებში ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ „ინტერში“ გადასვლის მერე საქმე ცუდად წაუვიდა და ფაქტობრივად, „შავ-ლურჯების“ სათადარიგოთა სკამის შეუცვლელ ბინადრად იქცა. სპეციალისტები კი ამ ტრანსფერის განხორციელებას მაინც არარეალურს უწოდებენ, რადგან ზამთრის სატრანსფერო სეზონი საცაა დაიხურება და ძნელი სავარაუდოა, კლუბებმა ამ მოკლე დროში შეთანხმებას მიაღწიონ.

**იტალიური** „მილანის“ ნახევარმცველი მასიმო ამბროზინი ქვეყნის თასზე „რომასთან“ მატჩში მიღებული ტრავმის გამო სამი კვირა ვეღარ ითამაშებს. ეს ექიმების პირველადი დიაგნოზისთანავე გახდა ცნობილი. აქვე გეტყვით, რომ ამბროზინიმ „როსონერისთან“ ახლახან კონტრაქტი 2006 წლამდე გაახანგრძლივა, რითაც წერტილი დაუსვა დიდი ხნის წინ ატეხილ მითქმა-მოთქმას, „მილანი“ მას „რეალის“ არგენტინელ ნახევარმცველ სანტიაგო სოლარიში ცვლისო.

**ნიგერიელ** ფორვარდ ნვანკვო კანუს გადაბირება ამსტერდამის „აიაქსს“ მოუწადინებია. კანუ უკვე დიდი ხანია, „მეთოფეთა“ სათადარიგო ფეხბურთელად მოიაზრება. აფრიკელს „არსენალთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება და ისიც ცნობილია, რომ ლონდონელები მის გახანგრძლივებას არ აპირებენ. აქედან გამომდინარე, „აიაქსს“ სურს, ნიგერიელს კარგი პირობები შესთავაზოს და ყოველგვარი გადასახადის გარეშე გადაიბიროს. სავარაუდოდ, კანუსთან მოლაპარაკებები მისი ტუნისიდან დაბრუნებისთანავე დაიწყება. იქ კი, როგორც იცით, აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება მიმდინარეობს და კანუც ეროვნული გუნდის ღირსებას იცავს.

**ინგლისური** პრემიერლიგის აუტსაიდერმა „ვულვერჰემპტონმა“ „ნიუკასლიდან“ ორ მილიონ გირვანქად შავკანიანი ფორვარდი კარლ კორტი შეიძინა. კონტრაქტის თანახმად, კორტი „ვულვზში“ 3,5 წელიწადი ითამაშებს. კორტი „ნიუკასლმა“ „უიმბლდონიდან“ გადაიყვანა და „ჯორდებიც“ მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმც ხშირმა ტრავმიანობამ ფეხბურთელს შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალება არ მისცა, რომელსაც ბოლოს მწვრთნელ ბობი რობსონთან უთანხმოებაც დაემატა.

**ესპანურმა** „ესპანიოლმა“ ახალი ფორვარდი დაიმატა. კლუბმა რუმინეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი კლაუდიუ რადუჩანუ 1,3 მილიონი ევროს სანაცვლოდ ბუქარესტის „სტიაუადან“ გადაიბირა. თავდამსხმელმა კატალონიელებთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა და უქმეებზე პრიმერადივიზიონში კიდევ ერთი რუმინელის დებიუტს უნდა ველოდოთ.

**იტალიური** „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ პრესკონფერენციაზე კატეგორიულად უარყო ბოლო ხანს გავრცელებული ხმები დანიელი იონ დალ ტომასონის შესაძლო გაყიდვის თაობაზე. „გავიგე, თითქოს ჩვენ ტომასონის გასხვისებას ვაპირებთ და მომავალი სეზონიდან იგი უკვე სხვა კლუბში ითამაშებს. მსურს, ყველაფერს ნათელი მოვფინო, არანაირი უთანხმოება არ არსებობს. ჩვენ იონ დალს ძალიან ვაფასებთ და ყველას გასაგონად ვაცხადებთ, ტომასონი 2004-05 წლების სეზონშიც „მილანში“ ითამაშებს. მას არანაირ თანხად არ გავყიდით“ — თქვა ადრიანო გალიანიმ.

**შოტლანდიურმა** „რეინჯერსმა“ ბოლო მომენტში უარი განაცხადა ნუნუ კაპუშუს „სელტაში“ განათხოვრებაზე. შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ გლაზგოელებმა გადაწყვეტილება რატომღაც შეცვალეს. აქვე „რეინჯერსის“ ახალ შენაძენზეც ვთქვათ: ჩვენებური შოთა არველაძის მხარდამხარ ამიერიდან რონალდ დე ბურის ტყუპისცალი, ფრანკიც ითამაშებს, „აიაქსის“, „ბარსელონას“ და „გალათასარაის“ აწ უკვე ყოფილმა მცველმა თურქულ კლუბთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვიტა და „ჩაფრებს“ თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.

**ინგლისური** „ლივერპულის“ ხორვატმა ნახევარმცველმა იგორ ბისკანმა განაცხადა, რომ ეროვნული გუნდში აღარ ითამაშებს. ბისკანმა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ამის თაობაზე წერილი გაუგზავნა, სადაც 25 წლის ფეხბურთელი იწერება, რომ გადაწყვეტილება სავსებით ცივი გონებით მიიღო და არ ნანობს. ბისკანს მიზეზი არ უთქვამს, იმას კი ვარაუდობენ, რომ მას ფედერაციის მამებმა უდისციპლინო ქცევაში დასდეს ბრალი, რამაც ფეხბურთელი ძალიან გაანაწყენა.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 051 | დერბი-შეფილდი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 067 | ბარნსლი-ბლეკპული | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 23.45 | 068 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 23.45 | 069 | პორტ ვეილი-ჰარტლპული | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.45 | 070 | ტრანმერი-სტოკპორტი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 088 | სკანთორპი-მენსფილდი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 23.45 | 089 | კიდერმინსტერი-ჩელტენემი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 23.45 | 090 | საუთენდი-იორკი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 014 | დორტმუნდი-შალკე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **31 იანვარი** | | | | | | |
| 18.30 | 015 | ვერდერი-ჰერტა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 016 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 18.30 | 017 | აინტრახტი-ბაიერნი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 18.30 | 018 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 019 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.30 | 020 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **1 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 021 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 022 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| | | **იტალია. სერია A. XIII ტური** | | | | | | |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 025 | მილანი-სიენა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 026 | მილანი-სიენა 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,6 | | | |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 201 | მეცი-მარსელი | 2,8 | 3,0 | 2,45 | 1,44 | 1,3 | 1,34 |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 202 | ლიონი-ბორდო | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 254 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 23.00 | 255 | პსვ-ზვოლე | 1,05 | 8,0 | 20,0 | 1 | 1 | 5,71 |
| 23.00 | 256 | ბრედა-გრონინგენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.00 | 257 | უტრეხტი-როზენდალი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 258 | ვოლენდამი-ვალვაიკი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 23.00 | 259 | ალკმაარი-ტილბურგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.00 | 260 | ჰერენვენი-აიაქსი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 23.00 | 261 | დენ ჰააგი-როდა | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.00 | 262 | ტვენტე-ვიტესი | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 350 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 351 | მიდლსბრო-არსენალი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| | | **ესპანეთი. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 352 | სელტა-ალავესი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 23.00 | 353 | ატლეტიკო-სევილია | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 00.30 | 354 | ვალენსია-რეალი . | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 00.30 | 355 | სარაგოსა-ბარსელონა | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 356 | აკრატიტოსი-პროდეფტიკი | 1,8 | 3,2 | 3,4 | 1,15 | 1,17 | 1,64 |
| | | **თურქეთი. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 357 | გალათასარაი-რიზე | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 15.00 | 358 | ბურსა-კონია | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 15.00 | 359 | ისთანბული-ანკარაგიუჯიუ | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |
| 18.00 | 360 | გენჩლერბირლიგი-მალათია | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 20.00 | 361 | დიარბაქირი-ტრაბზონი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 362 | სამსუნი-ფენერბაჰჩე | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,67 | 1,23 | 1,19 |
| | | **აფრიკის თასი (ტუნისი)** | | | | | | |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 17.00 | 364 | ნიგერია-მაროკო | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,27 | 1,61 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 365 | ს.აფრიკა-ბენინი | 1,4 | 3,5 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,43 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 1020 | კლადნო-ტრჟინეცი | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| 20.00 | 1021 | ვიტკოვიცე-სლავია | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1,52 |
| 20.00 | 1022 | ზლინი-ლიბერეცი | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| 20.30 | 1023 | კარლოვი ვარი-ვსეტინი | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 20.30 | 1024 | ზნოიმო-პარდუბიცე | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1,44 | 1,12 | 1,48 |
| 20.30 | 1025 | პლზენი-ლიტვინოვი | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 21.30 | 1026 | სპარტა-ბუდეიოვიცე | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 1046 | მარტინი-მიკულაში | 2,05 | 4,0 | 2,45 | 1,35 | 1,11 | 1,51 |
| 20.00 | 1047 | ჟილინა-ტრენჩინი | 2,5 | 4,2 | 1,95 | 1,56 | 1,09 | 1,33 |
| 20.00 | 1048 | ზვოლენი-პოპრადი | 1,25 | 5,6 | 6,0 | 1,02 | 1,03 | 2,89 |
| 20.00 | 1049 | კოშიცე-სკალიცა | 1,4 | 4,4 | 5,0 | 1,06 | 1,09 | 2,34 |
| 20.30 | 1050 | სლოვანი-ნიტრა | 1,2 | 6,0 | 7,0 | 1 | 1,02 | 3,23 |

**ჰოკეი. გერმანია**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 1064 | ნიურნბერგი-კრეფელდი | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| 22.30 | 1065 | კიოლნი-ჰანოვერი | 1,4 | 5,0 | 4,6 | 1,09 | 1,07 | 2,39 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 1077 | ამბრი-ფრიბურგი | 1,75 | 4,6 | 2,9 | 1,26 | 1,09 | 1,77 |
| 22.30 | 1078 | ბაზელი-სერვეტი | 2,7 | 4,4 | 1,85 | 1,67 | 1,09 | 1,3 |
| 22.30 | 1079 | დავოსი-ლუგანო | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1,52 |
| 22.30 | 1080 | კლოტენი-ბერნი | 2,35 | 4,4 | 2,1 | 1,53 | 1,1 | 1,42 |
| 22.30 | 1081 | ლოზანა-ციურიხი | 2,35 | 4,4 | 2,1 | 1,53 | 1,1 | 1,42 |
| 22.30 | 1082 | რაპერსვილი-ლანგნაუ | 1,65 | 4,6 | 3,3 | 1,21 | 1,1 | 1,92 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 1100 | მოდო-ლულეო | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1,32 | 1,09 | 1,63 |
| 22.00 | 1101 | იურგორდენი-ლეკსანდი | 1,45 | 5,0 | 4,2 | 1,12 | 1,07 | 2,28 |
| 22.00 | 1102 | სიოდერტელიე-ტიმრე | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1,32 | 1,09 | 1,63 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 1103 | ფერიესტადი-ჰვ 71 | 1,8 | 4,4 | 2,8 | 1,27 | 1,09 | 1,71 |
| 22.00 | 1104 | მალმიო-ფრიოლუნდა | 2,5 | 4,2 | 2,0 | 1,56 | 1,11 | 1,35 |
| 22.00 | 1105 | ლინჩიოპინგი-ბრიუნესი | 1,55 | 4,8 | 3,6 | 1,17 | 1,08 | 2,05 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 1117 | იოკერიტი-ჰელსინკი | 1,85 | 4,4 | 2,7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| 20.30 | 1118 | იუვესკიულე-კერპეტი | 3,0 | 4,4 | 1,75 | 1,78 | 1,1 | 1,25 |
| 20.30 | 1119 | პელიკანსი-პაამეენლინა | 3,6 | 4,8 | 1,55 | 2,05 | 1,08 | 1,17 |
| 20.30 | 1120 | ტაპარა-ილვესი | 2,2 | 4,6 | 2,2 | 1,48 | 1,1 | 1,48 |
| 20.30 | 1121 | ესეტი-სეიპა | 1,6 | 4,8 | 3,4 | 1,2 | 1,08 | 1,99 |

**ჰოკეი. NHL**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1141 | ბუფალო-მონრეალი | 2,25 | 3,6 | 2,4 | 1,38 | 1,16 | 1,44 |
| 04.00 | 1142 | აილენდერსი-ბოსტონი | 2,2 | 3,6 | 2,45 | 1,36 | 1,15 | 1,45 |
| 04.00 | 1143 | კოლამბუსი-ნიუ ჯერსი | 2,6 | 3,6 | 2,1 | 1,5 | 1,16 | 1,32 |
| 04.30 | 1144 | პიტსბურგი-ტამპა ბეი | 3,1 | 3,8 | 1,8 | 1,7 | 1,13 | 1,22 |
| 04.30 | 1145 | ტორონტო-კაროლინა | 1,7 | 3,8 | 3,5 | 1,17 | 1,14 | 1,82 |
| 06.00 | 1146 | კოლორადო-ედმონტონი | 1,65 | 3,8 | 3,8 | 1,15 | 1,15 | 1,9 |
| 06.00 | 1147 | ფინიქსი-კალგარი | 2,2 | 3,6 | 2,45 | 1,36 | 1,15 | 1,45 |
| 07.00 | 1148 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,6 | 4,0 | 4,0 | 1,14 | 1,14 | 2 |

**კალათბურთი. NBA**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1258 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,75 | 10,0 | 1,85 | 1,48 | 1 | 1,56 |
| 04.30 | 1259 | ატლანტა-ფინიქსი | 1,55 | 10,0 | 2,1 | 1,34 | 1 | 1,73 |
| 04.30 | 1260 | ნიუ იორკი-სან ანტონიო | 2,1 | 10,0 | 1,55 | 1,73 | 1 | 1,34 |
| 07.00 | 1261 | სიეტლი-დალასი | 1,9 | 10,0 | 1,7 | 1,59 | 1 | 1,45 |
| 07.30 | 1262 | კლიპერსი-ჩიკაგო | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |

**ხელბურთი. ევ (სლოვენია)**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 1401 | ესპანეთი-შვეიცარია | 1,05 | 14,0 | 9,0 | 1 | 1 | 5,47 |
| 19.30 | 1402 | საფრანგეთი-უნგრეთი | 1,35 | 9,0 | 3,5 | 1,17 | 1 | 2,52 |
| 21.00 | 1403 | შვედეთი-ხორვატია | 1,95 | 8,0 | 1,95 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 21.30 | 1404 | გერმანია-ჩეხეთი | 1,08 | 11,0 | 8,0 | 1 | 1 | 4,63 |
| 23.00 | 1405 | რუსეთი-დანია | 1,95 | 8,0 | 1,95 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 23.30 | 1406 | სლოვენია-სერბია | 2,25 | 8,0 | 1,75 | 1,75 | 1 | 1,43 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

----------------------------------- კი ----------------------------------- არა

**28 იანვარი**

5325 მილანი-სიენა ---------------------------- 1,85 ---------------------------- 1,75

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**28 იანვარი**

5425 მილანი-სიენა ---------------------------- 1,15 ---------------------------- 4,4

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **28 იანვარი** | | | |
| 5525 | მილანი-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**28 იანვარი**

5225 მილანი-სიენა ---------------------------- 2,0 ---------------------------- 1,6

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **28 იანვარი** | | | | | | |
| 5025 | მილანი-სიენა | 1,35 | 3,6 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,48 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

----------------------------------- კი ----------------------------------- არა

**28 იანვარი**

5325 მილანი-სიენა ---------------------------- 1,85 ---------------------------- 1,75

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

31.01 16.30 6001 ინგლისი პლ (XXIII) .................... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
30.01 22.30 6002 გერმანია ბლ (XVIII) .................... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
31.01 21.00 6003 იტალია A (XIX) .................... 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
31.01 22.30 6004 ესპანეთი Iდ (XXII) .................... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
30.01 24.00 6005 საფრანგეთი Iდ (XXII) .................... 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
30.01 00.15 6006 პორტუგალია სლ (XX) .................... 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
28.01 23.00 6007 ჰოლანდია Iდ (XVIII) .................... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
30.01 23.30 6008 ბელგია Iდ (XX) .................... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **28 იანვარი** | | | | | | | | | |
| 5125 | მილანი-სიენა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,6 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ოცდარვა დელეგატითა და უფრო მეტი მოწვეული სტუმრით ჩატარებულმა რაგბის კავშირის ყრილობამ გუშინ სპორტის დეპარტამენტის დარბაზთან თავშეყრილი ჟურნალისტები ლამის მთელი დღე გვაყურყუტა. დღის წესრიგში შეტანილი ხუთი საკითხიდან ერთიც კი არ გამოდგა ისეთი, არათუ მწერლები, ფოტოკორესპონდენტები მაინც რომ დაესწროთ*

# 14:14 გეგიძის სასარგებლოდ

## ძველმა პრეზიდენტმა რაგბის კავშირი სამი თვით შეინარჩუნა





მერაბ ანთაძე კენჭისყრაში მიღწეული ფრის ანუ დამარცხების შემდეგ

ბიძინა გეგიძე კიდევ სამი თვით უთავკაცებს ქართულ რაგბის

ყრილობის კულმინაცია საპრეზიდენტო არჩევნები იყო, რომელზეც მოქმედ პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს ძველი მორაგბე, ამჟამად კი თანამდებობის პირი მერაბ ანთაძე დაუპირისპირდა. ვინაიდან მასმედიისთვის ელექტროენერგიის მკაცრი გრაფიკით დასჯილი, ხანდახან განათებული, უმეტესად კი ჩაბნელებული ოთახის კარი საგულდაგულოდ იყო დაკეტილი, ზოგადად გეტყვით.

კენჭისყრამდე ორი საკითხის მოგვარება მოესწრო. რაგბის კავშირის საანგარიშო მოხსენებას საპრეზიდენტო კანდიდატების გამოსვლები მოჰყვა. ბოლოს ცოტა არჩევნების ჩატარების პრინციპზეც წაიკამათეს. დამსწრეთა უმეტესობამ კენჭისყრის ფარულად ჩატარება ისურვა და რამდენიმე წუთში დარბაზში ოდენ ხმის უფლების მქონე თერთმეტი კაცი დატოვეს. დაგვეკითხებით, აკი ოცდარვა ხმა იყოო. ასეცაა, თუმც ეს ოცდარვა ხმა თერთმეტ გუნდზე იყო გადანაწილებული და ზოგიერთს ოთხი-ხუთი ხმის უფლებაც ჰქონდა. წინასწარი გადაწყვეტილებით, ყველა კლუბის წარმომადგენელს მხოლოდ ერთი მხარე უნდა აერჩია და არ უნდა გაეყო კლუბის კუთვნილი ხმები. მაგალითისთვის გეტყვით, აჭარის ოთხი ხმიდან ოთხივეს ის კონკრეტული კანდიდატი მიიღებდა, ვისაც კლუბი მხარს დაუჭერდა.

ფარული კენჭისყრა ჩატარდა და დარბაზში დაბრუნებულ სტუმრებს შედეგის გასაგებად ჩვენც შევყევით.

„ნეტარება“ ორიოდ წუთს გაგრძელდა. შემდეგ კვლავაც გაყინული დერეფნისკენ მიგვითითეს. ცოტა კი დააგვიანდათ. ახალი პრეზიდენტის ვინაობამ გზაში მოგვისწრო.

თოთხმეტი თოთხმეტთან — მშვიდობიანი ფრე, რომლითაც კონკურენტები ერთმანეთს გაეყარნენ. რეალურად კი ეს მომგებიანი აღმოჩნდა მოქმედი პრეზიდენტისთვის. ბიძინა გეგიძემ თანამდებობა სულ მცირე მაისამდე შეინარჩუნა. მერაბ ანთაძემ კი დარბაზი კომენტარის გარეშე დატოვა. მისი გუნდიდან მხოლოდ იურისტ გოჩა სვანიძესთან მოვახერხეთ არჩევნების შემდგომი საუბარი.

მანამდე კი **ბიძინა გეგიძის** კომენტარებს გთავაზობთ:

— პრეზიდენტობა შეინარჩუნეთ, თუმც არ გაგიმარჯვიათ. რამდენად მყარია თქვენი მდგომარეობა?

— იურიდიულად პოსტზე მანამ ვიქნები, სანამ შემდეგი არჩევნები ჩატარდება.

— ეს როდის იქნება?

— ახლა ამაზე ფიქრი ცოტა ძნელია.

— უახლოეს კრებაზეც გქონიათ ამაზე საუბარი...

— წინასწარი შეთანხმებით ყრილობა მაისში გაიმართება და უმთავრესად წესდებაში ცვლილებების შესატანად გამოვიყენებთ. დღის წესრიგში ახალი გამგეობის შექმნის საკითხიც დადგება. სულაც არა მაქვს სურვილი, ეს საქმე ერთპიროვნულად ვმართო.

— მომავალ ყრილობაზე ხელახალ არჩევნებსაც ხომ არ უნდა ველოდოთ?

— ჯერ ვერც ამაზე გიპასუხებთ. უახლოეს დღეებში ყველაფერს დაწვრილებით გეტყვით. დღეს რომ ხმები თანაბრად არ განაწილებულიყო და თუნდაც ოცდარვით ნული მომეგო, მაინც გადაწყვეტილი მქონდა ერთი განცხადების გაკეთება. ორი-სამი დღე დამაცადეთ და პრესკონფერენციაზე შევხვდებით.

### გოჩა სვანიძე

— ბიძინა გეგიძე რამდენიმე დღეში თავისი გადაწყვეტილების გახმაურებას აპირებს. დაახლოებით მაინც თუ იცით, რას იტყვის?

— განცხადებაზე ვერაფერს გეტყვით. მომავალი არჩევნები კი აუცილებლად მაისში შედგება. უბრალოდ, ჯერ ზუსტ თარიღზე არ მოგვილაპარაკია.

— დავუშვათ და პრეზიდენტმა თანამშრომლობა შემოგთავაზათ...

— გამორიცხულია. ანთაძის კანდიდატურის წამოყენებას რომ ვაპირებდით, გეგიძეს შევატყობინეთ და გაუხარდა, კენჭისყრას მივენდოთ. რა თქმა უნდა, თანახმანი ვართ, თუ ყველაფერი შინაურულად გადაწყდება და იგი გადადგება. რაგბის სამყაროში ასე ადვილად არავის წირავენ, თუმც გეგიძე უბრალოდ შინაგანად არაა მზად, ჩვენი შეხედულებები გაიზიაროს.

— თანაპრეზიდენტობას თუ დათანხმდებით?

— ეს ხელოვნურად მოგონილი ინსტიტუტია, რომელსაც არანაირი მიზანი არა აქვს, ასე რომ, ამაზე დათანხმება გამორიცხულია.

— ყრილობის მაისში ჩატარება თქვენთვის თავიდანვე მისაღები იყო?

— ჩვენ მორიგი საერთო კრების ჩატარება მარტის მეორე ნახევრისთვის გვინდოდა. თუმც თარიღის გადაწევას რაგბის ინტერესებიდან გამომდინარე დავთანხმდით.

— მაშასადამე ბრძოლა გრძელდება?

— ბრძოლას არ დავარქმევდი. იმ წესების დამკვიდრებას გავაგრძელებთ, რაგბის გასაძლიერებლად ერთადერთ გზად რომ მიგვაჩნია.

ბოლოს დავძენთ, რომ არჩევნების შედეგით გაბრაზებული ეროვნული გუნდის რამდენიმე წევრი დაიმუქრა, ნაკრებში აღარ ვითამაშებთო. თუმც ქვემოთ „ნეიტრალური“ კაპიტნის **ილო ზედგინიძის** კომენტარს გთავაზობთ:

— პრეზიდენტობის ორივე კანდიდატის საპროგრამო გამოსვლებს ყურადღებით მოვუსმინე და ორივე ერთმანეთზე უკეთესი იყო. ალბათ ყველაზე კარგი ქართული რაგბისთვის მათი პოზიციების შეჯერება და გაერთიანება იქნებოდა. თანაპრეზიდენტობა იქნება თუ უბრალოდ თანამშრომლობა, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ბადრი ქეთილაძის**
**ფოტოები**




კენჭისყრაზე ზოგიერთმა დელეგატმა სამჯერ და მეტჯერაც მისცა ხმა



გოჩა სვანიძე და რაგბის მხარდამჭერთა ლიგა თამაშგარეთ დარჩენას არ აპირებენ

## ავსტრალიის ღია პირველობა 2004

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

# არაზიმ ოზი ჩარაზა

## ლეიტონი საცოლეს ჩამოაცილეს

### მეოთხე წრე

**კაცები**

**როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — ლეიტონ ჰიუიტი (15, ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:0, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:4, 3:6, 6:3, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — გილერმო კანიასი (არგენტინა) 6:4, 6:2, 6:1; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — მარკ ფილიპუსისი (10, ავსტრალია) 6:2, 6:2, 6:4

**ქალები**

**კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — სილვია ფარინა ელია (20, იტალია) 6:3, 6:3; **ანასტასია მისკინა** (6, რუსეთი) — ჩანდა რუბინი (9, აშშ) 6:7 (3:7), 6:2, 6:2; **პატი შნიდერი** (22, შვეიცარია) — ნატალი დეში (29, საფრანგეთი) 6:2, 6:4; **ლაიზა რეიმონდი** (25, აშშ) — ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 6:2, 6:0

ვაგლახ — მშობლიური სლემტიტულის მაძებარ ლეიტონ ჰიუიტს, მსოფლიოს ოდინდელ უსტაბაშსა და ორგზის სლემტიტულოსან კისკას ოზბიჯს, ჩოგანი ამჯერადაც ნაცარში ჩაუვარდა.

მას ვერც მასპინძლობამ უშველა, ვერც იმან, რომ წინა ათ შეხლაში მეტოქე რვაჯერ დაემარცხებინა და ვერცთუ გუშინდელი მატჩის რიგიანმა დასაწყისმა, როცა მან ზორბა ალპელს პირველივე გეიმი წაართვა და მერე სეტიც ზედ მიაყოლა.

ფედერერი ამ დროს მართლაც ღელავდა — ბევრი შეცდომა მოსდიოდა და თავისი ამოუწყავი პოტენციის ძალზედ შეზღუდულ ნაწილს იყენებდა.

მეორე სეტი უფრო თანაბრად დაიწყო — მეექვსე გეიმამდე ორივე თავ-თავის გეიმს იგებდა და ისე ჩანდა, საქმე ტაიბრეიკს უნდა გადაეწყვიტა. მაგრამ მეექვსე გეიმში, როცა ფედერერი 3:2 იგებდა და მოწოდება ჰიუიტისა იყო, მსაჯმა ავსტრალიელს მოწოდებისას ხაზზე დაბიჯება დაუფიქსირა და გეიმის მომგები ეისი გაუუქმა.

ამან ჰიუიტი გაალიზიანა და გეიმთან ერთად მატჩის სადავეებიც დააკარგვინა. ფედერერმა კი თავი უფრო მშვიდად იგრძნო, მეტოქის მიერ წამით გამსხლტარ საჭეს თავად დაეუფლა და უკანასკნელ გათამაშებამდე ხელიდან აღარ გაუშვია.

დარჩენილ სეტებში ის ისე აშკარად ალემატებოდა ჰიუიტს, რომ ოზბიჭის თვით ყველაზე თავგადაკლულ ქომაგებსაც კი იმედის ნატამალიც აღარ გასჩენიათ.

„ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ მასზე რევანშის აღება შევძელი — იძახდა ნამატჩევს ფედერერი — დევისთასის ნახევარფინალში მასთან აქ წაგება ხომ ჩემთვის ძალზედ მძიმე გადასატანი იყო. ისე, ჩვენი ყოველი თამაში დიდებული გამოდის და მაყურებელმა ამჯერადაც მძაფრი ბრძოლა იხილა."

მეოთხედფინალში 22 წლის შვეიცარიელი თავისკბილა არმენოარგენტინელ დავიდ ნალბანდიანს შეხვდება, ვინაც — თავის მხრივ — გუშინ თვისტომი გილერმო კანიასი გაანადგურა.

მაშინ, როცა საამელბურნო მიმოხილვებში უწინარესად აგასის, როდიკისა თუ ფედერერის სიჩაუქეთა შესახებ ვწერდით, ღონიერი და სტაბილური ნალბანდიანი უჩუმრად, მაგრამ დამაჯერებლად მიიწევდა წინ. თავის პირველ ოთხ მატჩში მას ერთი სეტიც არ წაუგია და მეტოქეებს ჯამში მხოლოდ 29 გეიმი მიათვლევინა.

წინა წრეში ტიმ ჰენმანთან ხუთსეტიანი მარათონით მოღლილი კანიასი მან გუშინ 104 წუთში მოდრიკა, თანაც ისე, რომ ლამის უშეცდომოდ ითამაშა.

ფედერერთან, ჰიუიტის დარად, ისიც უპირატეს პირად ბალანსს მოიძევს — მათი ექვსი აქამომდელი შეხლიდან მას ხუთში უმარჯვია. თუმცა ბოლო მოგება შვეიცარიელზეა. ნავსი ფედერერმა წლის დამაგვირგვინებელ ჰიუსტონურ მასტერსთასზე გატეხა. მაშინ ის ამბობდა, რაკილა ნალბანდიანის ძლევა შევძელი, აწი რაღა გამაჩერებსო.

ჰიუსტონში ის ვერც გააჩერეს. რა იქნება მელბურნში?!

სხვაფრივ — ლეიტონისადმი ჩვენს დაუფარავ სიმპატიას რა ვუთხარი, თორემ მთავარსასაუბრო თემა დღეს ეგებ მაროკოელი ჰიშამ არაზის მიერ ადგილობრივთა მეორე ჯილის, სკადად წოდებული მარკ ფილიპუსისის დაჩოქება უფრო იყოს.

ჰო, ასეთი სენსაცია კაცთა განყოფილებაში წლეულს არც მომხდარა — შარშანდელი ფინალისტის, რაინერ შუტლერის პირველსავე წრეში წაფორხილებას თუ არ ჩავთვლით.

30 წლის კასაბლანკელის გამარჯვება მით უფრო გამოსარჩევია, რომ ვირგლა მასპინძელმა მას ერთი სეტიც ვერ წაჰგვარა.

და ანკი როგორ წაჰგვრიდა, როცა მისი 10 უნებლიე შეცდომის წილ ჯამში თითქმის ოთხჯერ მეტი, 38 შეცდომა მოაქუჩა.

მეჟუმბარე ოზს გუშინ არც ეისები წაუვიდა — არაზის 7 გამჭოლ მოწოდებას მან მხოლოდ ერთით გადაამეტა.

მოკლედ — ფილიპუსისმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მიუხედავად შარშანდელი უიმბლდონური ნახევარფინალისა და სანაქებო სადევისთასო გარჯისა, ის მაინც ვერ იქცა სტაბილურ ანგარიშგასაწევ საჩოგბურთო სუპერძალად.

მსოფლიო რეიტინგსიის 51-ეადგილოსანი არაზი კი წლევანდელ მელბურნულ მეოთხედფინალში თვისტომ ელ აინაუის მაგივრობას გასწევს. ისე — იქაურ უკანასკნელ რვეულში ის თავადაც მოხვედრილა 2000 წელს, როცა მომავალ ჩემპიონ ანდრე აგასისგან დაიჩოგნა.

ახლა არაზი ხუან კარლოს ფერეროს დაეჯახება. კოლობიჭი წრეებს გაჭირვებით გადის, თუმცა ეს უფრო ტრავმიანობის ბრალია, ვიდრე მეტოქეთა ყოჩაღობისა.

რუმინელ ანდრეი პაველამდე ფერერო დაშავებული მხრითა და იდაყვით მივიდა, პაველთან მატჩის პირველსავე წრეში კი მუხლქვეშა მყესიც იტკინასავით. მართალია, ტრავმა სერიოზული არ ჩანს, მაგრამ გუშინდელი მატჩის მომთავრება მას მაინც გამაყუჩებლებითა და მუხლის გადახვევით მოუხდა.

ნალბანდიანისა არ იყოს, ფერეროც აგასის, როდიკისა და ფედერერის ჩრდილქვეშაა მოქცეული. შეძლებს თუ არა ის ამ ჩრდილიდან გამოსვლას, ამას უახლოეს დღეებში ვნახავთ — მაგრამ გადახვეული ხელ-ფეხით ამის გაკეთება ალბათ ცოტა ძნელი იქნება.



კიმ კლაისტერსს ტრავმის ეშინია და არა მეტოქეების

ახლა ქალებზე.

განსხვავებით თავისი საქმროსგან, კიმ კლაისტერსმა კვლავაც უპრობლემოდ იბურთავა. სილვია ფარინა ელიამ მის კაზმულჩოგნაობას მხოლოდ 73 წუთი გაუძლო, მერე კი ქედი მოიდრიკა და თავი დაუკრა.

შეგახსენებთ, რომ კიმს პირველ ოთხ შეხვედრაში ჯერ სეტი არ ჩაუგდია და ჯამშიც მხოლოდ 14 გეიმი დათმო.

ის წინა ორი პირველობის ნახევარფინალისტია და ამის გასამებას შარშანდელი მეოთხედფინალის რემატჩში, რუს ანასტასია მისკინას წინაამდეგ ეცდება.

რუსგოგოს, ვინაც გუშინ ჩანდა რუბინს შარშანდელივე სამეოთხწრეო რემატჩში აჯობა, კლაისტერსთან შეხლაში თავისი ჩოგნის გარდა იმის იმედიც უნდა ჰქონდეს, რომ კიმს ბოლომდე ჯერაც არ მოშუშებია მტკივანი კოჭი.

მართალია, ეს ტრავმა კიმს ეგრე აშკარად ჯერ არ უშლის, მაგრამ ლეიტონის გოგო ერთთავად შიშშია — აი, ახლა ამტკივდება და აი, ახლაო.

ატკივდება კიმს ანასტასიასთან?! საკითხავიც აი, ეგ არის.

უკანასკნელ სამეოთხედფინალო წყვილს კი ამერიკელი ლაიზა რეიმონდი და შვეიცარიელი პატი შნიდერი შეადგენენ.

რეიმონდმა კვირას გათექვსმეტწლისებული რუსფრანგი ტატიანა გოლოვინი დაიფრინა და პირველად გაალწია ავსტრალიის ღია პირველობის ბოლო რვეულში. ნორჩი ტანია გუშინ ძალზედ ბევრს მიჰქარავდა და ეგრეც ვერაფერი დაუპირისპირა 30 წლის ამერიკელის ნატიფ მიკიბულ-მოკიბულებსა და ჯეროვან მოწოდებას.

რეიმონდის დარად თავის პირველ მელბურნულ მეოთხედფინალში მოხვდა პატი შნიდერიც. საამისოდ მას გუშინ მეორე ფრანგის, ნატალი დეშის ძლევა მოუხდა.

**ლევან ბელაურაძე**





მარკ ფილიპუსისს მაროკოელმა ბედუინმა ჰიშამ არაზიმ თავი დააკარგვინა

*მანუჩარ მარკოიშვილის იტალიური გამოცდილება ბოლომდე გასწვდა გერმანულ ბუნდესლიგას და „ბენეტონიდან" სეზონის ბოლომდე წასულმა ქართველმაც რიხით გაიქნია ხელი ვეისენფელსის „მიტელდოიჩერში". საერთო ანგარიშით „მანო" ყველა თანაგუნდელზე მეტს თამაშობს და მისი ყოჩაღი გარჯა, ვინ იცის, დიდად არ ეპიტნავება „მიტელდოიჩერის" მწვრთნელ დიტრიხ დეტმანს. რატომ? მოვუსმინოთ მარკოიშვილს...*

# გერმანია მანოსია

## მარკოიშვილი ახალ მწვრთნელს დაუპირისპირდება

— „მიტელდოიჩერში" უკვე იმდენი ვითამაშე, „ბენეტონში" მთელი სეზონი რომ არ მითამაშია. მწვრთნელი მენდობა და მეც ვუმართლებ, ყოველ შემთხვევაში, რაც გუნდში მოვედი, ჯერ არ წაგვიგია.

— ევროპულ ტურნირზე თამაშიც მოგისწრია...

— ჰო, ხორვატიული „ჰირონი" დავამარცხეთ. ორი მატჩის ჯამში და კონფერენციის ოთხთა ფინალში გავედით. ორივე მატჩი ვეისენფელსში გავმართეთ, რადგან ხორვატებს ფინანსურად ისე არ ულხინთ, ზაგრებში ემასპინძლათ ჩვენი გუნდისთვის.

— „ჰირონთან" თავი გამოგიჩენია, გერმანელმა ჟურნალისტებმა გამოგარჩიეს...

— როცა 25-30 წუთს ხარ მოედანზე, ითამაშებ, აბა, რა იქნება. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია, იმას ვთამაშობ. ჟურნალისტები მართლაც დაინტერესებულნი არიან ჩემით, სამივე საშინაო მატჩის შემდეგ ინტერვიუ ჩამომართვეს, მეც რაღაცას ვაგებინებ დამტვრეული ინგლისურით.

— დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ შეაფასებ შენს გადაწყვეტილებას, „ბენეტონიდან" რომ წამოხვედი?

— მხოლოდ დადებითად. დონე მთლად სერია A-სი არაა, მაგრამ არც ბუნდესლიგაა დასაწუნი. აქ მათამაშებენ, გამოცდილებას ვიძენ და „ბენეტონში" ალბათ გაძლიერებული დავბრუნდები.

— თუ ასე გააგრძელე, „მიტელდოიჩერმა" ეგებ სთხოვოს „ბენეტონს", ეს ბიჭი ერთი სეზონითაც დაგვითმეო...

— არა, რაც არ უნდა მოხდეს, ამ სეზონის ბოლოს მაინც ტრევიზოში დავბრუნდები.

— პლეი ოფში გასვლის შანსები რამდენად რეალურია?

— მეთერთმეტე ადგილზე კი ვართ, მაგრამ 8 გუნდს შორის მოხვედრა მაინც ძალიან გაგვიჭირდება. ისე, ძალიან მინდა პლეი ოფში თამაში, მე რომ მოვედი, „მიტელდოიჩერი" გასავარდნთა ზონაში იყო და თუკი 8 საუკეთესოში მოხვედრა, ჩემი დამსახურებაც იქნება.

— მწვრთნელი რას გეუბნება, ალბათ კმაყოფილია...

— პირადად არაფერი უთქვამს, მაგრამ კმაყოფილი რომ არ იყოს, ამდენს ხომ არ მათამაშებდა?

— ადრე თქვი, დეტმანი პირადად იცნობს „ბენეტონის" მწვრთნელ ეტორე მესინასო და ეგებ სთხოვოს შენი თავი კიდევ ერთი წლით...

— ეგ არ მოხდება და ისე, დეტმანი მალე ალბათ ჩვენი ნაკრების თავკაც დრაჟენ ბრაიკოვიჩსაც გაიცნობს.

— ეგ როგორ? საქართველოს ნაკრებს უახლოეს წლებში არ უწევს დეტმანის გერმანიის ნაკრებთან თამაში.

— დეტმანი აღარაა გერმანიის მწვრთნელი, ოლიმპიადაზე რომ ვერ გაიყვანა გუნდი, დაითხოვეს, იმ დღეს კი შევიტყვე, რომ დეტმანი ფინეთის ნაკრების მწვრთნელად დაუნიშნავთ. ჩემმა ბელგიელმა გუნდელმა რომ გაიგო, ევროსაკვალიფიკაციოში ფინელებს ვხვდებოდით, მითხრა, შენი მწვრთნელის წინააღმდეგ მოგიწევს თამაშიო. პირადად არ მიკითხავს, მაგრამ როგორც ჩემი გუნდელები ამბობენ, დეტმანის ფინეთის ნაკრების თავკაცად დანიშვნის ამბავი გაზეთებშიც დაწერილა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მანუჩარ მარკოიშვილი გერმანულ ფიცარნაგებს მალე გაუშინაურდა

— მაშ ერთგვარ მეტოქედ მიგიჩნევს...

— ალბათ და რომ ხედავს, კარგად ვთამაშობ, ვინ იცის, რას ფიქრობს. თუმც ის ჩემი მწვრთნელია და ახლა მხოლოდ მაქსიმუმს მთხოვს.

**ირაკლი პერტაია**

# ქართული ამბების დასტა

ქართველები ბუნდესლიგაზე ძლიერ ლიგებშიც თამაშობენ, მაგრამ წინა კვირაში „ჯვაროსნული" ლეგიონისთვის მთავარი ამბები სწორედ გერმანიაში მოხდა. ევროგრანდ „ბენეტონიდან" ვეისენფელსის „მიტელდოიჩერში" განათხოვრებულმა მანუჩარ მარკოიშვილმა იოლად აუღო ალღო ალემანურ კალათბურთს და მყისვე გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა.

წინა კვირაში „მიტელდოიჩერმა" სამი მატჩი გამართა, ერთი ბუნდესლიგაში, ორიც ფიბა-ევროპის თასზე და ყველაში იმარჯვა. ამას დავამატოთ გერმანიის ჩემპიონატში მანამდე მოგებული თამაშიც და გამოვა, რომ რაც ქართველი შეემატათ, „მგლებს" („მიტელდოიჩერის" მეტსახელია) ჯერ არ წაუგიათ.

ვინაიდან ხორვატიულ „ჰირონს" ფინანსური პრობლემები მოსძალებია, ფიბა-ევროპის თასის ცენტრალური კონფერენციის ორივე მატჩი ვეისენფელსში ითამაშა. 20 იანვარს მარკოიშვილის ევროდებიუტი შედგა „მიტელდოიჩერის" შემადგენლობაში. ქართველმა უკანახაზელმა 26 წუთი დაყო მოედანზე და შედეგიანობით მხოლოდ თანაგუნდელ იონას ელვიკისს ჩამორჩა.

გერმანულმა მედიამ ქართველ უკანახაზელს გარჯა დაუფასა, ნამატჩევს კი მცირე კომენტარიც სთხოვა — „ეს მატჩი კარგი საშუალება იყო საიმისოდ, რომ გაგვეცნო ხორვატიული გუნდი. ხვალ უფრო გაგვიიოლდება „ჰირონთან" თამაში და მინდა, რომ გავიმარჯვოთ, რათა შემდეგ მთელი ყურადღება „სკაილაინერზთან" ბუნდესლიგის მატჩზე გადავიტანოთ. დღევანდელ შეხვედრაში კი ყველაფერი საფინალო სირენამდე საკმაოდ ადრე გადაწყდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მთელი მონდომებით ვითამაშეთ."

ვეისენფელსელებმა მეორე დღესაც აოტეს ხორვატები და ფიბა-ევროპის ცენტრალური კონფერენციის ოთხთა ფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში მათი მეტოქე უნგრული „დებრეცენი" იქნება, რომლის გზიდან ჩამოშორების შემთხვევაში კიდევ ერთი მეტოქე შეეყრებათ, რომელსაც თუ მოუგებენ, დიდ, კონფერენციათშორის ოთხთა ფინალში გავლენ.

ამ კვირას კი გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავდათ ვეისენფელსელებს. ბუნდესლიგის მორიგ ტურში ისინი მესამე ადგილოსანს, შარშანწინ ევროლიგაში მობურთალ „სკაილაინერზსს" შეხვდნენ ფრანკფურტში და საამაყო გამარჯვებაც მოიპოვეს.

„სკაილაინერზი" გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და სტუმრად მისმა დამარცხებამ ძალიან გაგვახარა. მთელი ყურადღება დაცვაზე გვქონდა გადატანილი, ფრანკფურტელები შორი სროლებითა და სწრაფი გარღვევებით არიან ცნობილნი. ერთ-ერთმა მათიანმა ამას წინათ 13-დან 9 სამქულიანი ჩააგდო, ასე რომ, ხელზე ვეჯექით. ყველამ კარგად ვითამაშეთ, პირველ ტაიმში საიმედო უპირატესობა მოვიპოვეთ და თამაშის ბოლომდე შევინარჩუნეთ" — ეს კომენტარი კი მარკოიშვილმა „სარბიელთან" გააკეთა.

ამ გამარჯვებით „მიტელდოიჩერმა" 13-დან მე-11 ადგილზე აინაცვლა და მეპლეიოფეთა რვეულამდე გამოტოვებული მატჩის მოგებაღა აშორებს.

ჯერჯერობით მეპლეიოფეთა შორისაა ფრანგული „დიჟონი". ვახტანგ ნაცვლიშვილისა და ვიქტორ სანიკიძის გუნდმა რამდენიმე წაგების შემდეგ როგორც იქნა, მოიგო. დიჟონელებმა ცხრილში მათზე მაღლა მყოფი „ლე ავრი" ისტუმრეს და 21-ქულიანი ლახვარი ჩასცეს.

ორივე ქართველმა ითამაშა, თუმც სანიკიძის 43-წამიანი ბურთაობა ანგარიშში არცაა ჩასაგდები. ნაცვლიშვილი კი ჩვეულად კარგა ხანს დარჩა მოედანზე და 14 ქულას 6 მოხსნაც მოაყოლა.

დიჟონიდან სტამბოლში, „ულქერის" „აბდი პექჩის" დარბაზში შევიჭყრიტოთ, მაგრამ განა ზაზა ფაჩულიას გამო — ის იქ ზაფხულს აქეთ აღარ თამაშობს — ჩვენი ინტერესი „ულქერის" სტუმარ ლუბლიანურ „ოლიმპიას" დასტრიალებს, რომელსაც რუსთაველი ვლადიმერ ბოისა კაპიტნობს.

ბოისას გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში წააგო, თავად ვოვამ კი 7 ქულა მოიმკო, მაგრამ ამაზე ნიშანდობლივი ეგებ ის იყოს, რომ იგი პირადად შეხვდა მაკედონიელ პეტარ ნაუმოსკის, რომელსაც სანაკრებო დონეზეც უნდა გაეჯიბროს მომავალ სექტემბერში.

ერთი სიტყვით, ბებერ კონტინენტზე ქართველები ასე თუ ისე ეწევიან ჭაპანს, ოკეანგაღმა კი ჩვენებურთა ხვედრი გაცილებით მძიმეა. ნბა-ს ქართული ტრიო დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, თუმც ხანდახან ისინიც გამონათებენ ხოლმე.

იმედისმომცემი მატჩი ჩაატარა ზაზა ფაჩულიამ „მილუოკისთან", მისმა „ორლანდომ" მეტოქე იოლად დაამარცხა, ქართველმა ცენტრმა კი პროფესიული კარიერის უმეტესი, 11 ქულა მოიმკო.

**ირაკლი პერტაია**

## ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

| | გუნდი | მეტოქე | ტურნირი | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | წ/ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | მიტელდოიჩერი | ჰირონი | ფიბა-ევროპის თასი | შ | 92:53 | 26 | 15 | 1 | 2 | — |
| | | ჰირონი | ფიბა-ევროპის თასი | შ | 91:67 | 22 | 13 | 1 | 2 | 24/14 |
| | | სკაილაინერზი | ბუნდესლიგა | ს | 72:65 | 33 | 10 | 5 | 7 | 32,5/12,5 |
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ულქერი | ევროლიგა | ს | 63:68 | 25 | 7 | 0 | 0 | 29,2/9,7 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ლე ავრი | საფრანგეთის ჩემპ. | შ | 96:75 | 38 | 14 | 6 | 2 | 27,2/13,6 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | ლე ავრი | საფრანგეთის ჩემპ. | შ | 96:75 | 1 | 0 | 0 | 0 | 5/2,7 |
| ზაზა ფაჩულია | ორლანდო | მილუოკი | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 106:99 | 21 | 11 | 5 | 0 | — |
| | | მილუოკი | NBA რეგულარ. ჩ. | ს | 102:113 | 5 | 1 | 1 | 1 | — |
| | | ფილადელფია | NBA რეგულარ. ჩ. | ს | 98:93 | 6 | 0 | 1 | 0 | 10,9/3,3 |
| ვლადიმერ სტეფანია | პორტლენდი | საკრამენტო | NBA რეგულარ. ჩ. | ს | 109:104 | 9 | 4 | 1 | 1 | — |
| | | გ. სტეიდი | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 87:105 | 4 | 2 | 0 | 0 | 10,9/2,8 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | იუტა | NBA რეგულარ. ჩ. | ს | 96:75 | 6 | 6 | 3 | 1 | — |
| | | ფინიქსი | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 97:92 | 4 | 2 | 1 | 0 | 8,3/2,8 |
| | | ნიუ ორლეანი | NBA რეგულარ. ჩ. | ს | 91:97 | არ უთამაშია | | | | |

**შენიშვნა:** წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი;
წ/ქ — ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები საშუალოდ; ს — სტუმრად; შ — შინ

## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 9-25 იანვარი

# ანანდი კვარტეტში ოთხით შევიდა

**ზედიზედ მეორედ**, საერთოდ კი მეოთხედ ვეიკ ან ზეე ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა მოიგო და ამ საპატიო ტიტულის მეოთხე მფლობელი შეიქმნა. შეგახსენებთ, რომ ვეიკ ან ზეეს ოთხჯერ მომგები პირველად მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოლანდიელი მაქს ეივე გახდა. მან სუპერტურნირი პირველად 1940 წელს მოიგო, ბოლოს კი 1958-ში. ანანდამდე ეივეს მიღწევა გაიმეორა უნგრელმა ლაიოშ პორტიჩმა და რუსმა ვიქტორ კორჩნოიმ. ახლანდელმა ტრიუმფატორმა კი პირველ გამარჯვებას 1989 წელს მიაღწია, მერე კი 1998-ში და 2003-შიც გაიმეორა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ ბოლო წლებში ინდოელმა ვეფხვმა ისე აიწყვიტა, რომ ეგებ მალე კასპაროვმაც ვერ დააკავოს. ჰოლანდიური გამარჯვებით ინდუსმა ფიდეს რეიტინგში საკმაო ქულები მოაგროვა და მეორე ადგილიდან სუპერტურნირზე უხეიროდ გამოსული რუსი ვლადიმერ კრამნიკი დაიფრინა.

ბოლო, მეცამეტე ტური ყველაზე საინტერესო და მშვიდობიანი გამოდგა ლიდერთათვის.

ანანდი ერთ-ერთ აუტსაიდერ მასპინძელ ივან სოკოლოვს თეთრი ფიგურებით დაუპირისპირდა, თუმც გართულებებს მოერიდა და მე-14 სვლაზე ჰოლანდიელს ყაიმზე მოურიგდა. ინდუსის ორ მდევარს — ინგლისელ მაიკლ ადამსს და უნგრელ პიტერ ლეკოს კი თავიანთ პარტიებში რომ ემარჯვათ, გვერდით მიუსკუპდებოდნენ ანანდს, თუმც ამაზე ქვემოთ...

მსოფლიოს ჩემპიონატის პრეტენდენტები, უნგრელი პიტერ ლეკო და კრამნიკი, რომელნიც უკვე მეორე წელია, რაც ფიდემ ეგრეთ წოდებულ „გამაერთიანებელ მატჩში“ სათამაშოდ ვერ მოიხელთა, ერთმანეთს შარშან ასეთ სუპერტურნირებში ხუთჯერ დაეჯახნენ და ყაიმები გააგორეს.

გამონაკლისი არც კვირას გამართული შეხვედრა ყოფილა. მსოფლიოს კლასიკური ვერსიით ჩემპიონმა თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და მეტოქეს მსუბუქი ფიგურებით ჩხვლეტა დაუწყო. ლეკომ მაბეზარი რუსის მოსაშორებლად მძიმე ფიგურები დაქოქა და 23-ე სვლაზე მას ორივე ეტლის გაცვლა შესთავაზა. კრამნიკი მსგავს შეტაკებებს მოერიდა და პირდაპირ შავების მეფეს შეუტია.

ყველაზე კარგი თავდაცვა თავდასხმააო და უნგრელი თავად დაიძრა რუსული დესანტის შესაჩერებლად თეთრების ხელმწიფისკენ. ორთაბრძოლაში კრამნიკი პაიკით დაწინაურდა და ნერვების თამაშიც დაიწყო. რუსი უპირატესობის გამოყენებას ცდილობდა, ლეკო კი ყაიმისთვის ფიგურების მობილიზებას შეუდგა. 65-ე სვლაზე მადიარმა საწადელს მიაღწია და მეტოქე ისე გაჭედა, რომ ყაიმზე დაითანხმა.

რუსეთის ჩემპიონმა პიტერ სვიდლერმა და ადამსმა 26-სვლიანი ალლუმი მოაწყვეს. ერთი-ორი ფიგურა გაცვალეს და მეგობრულად დაშორდნენ ერთმანეთს.

C ჯგუფშიც მშვიდობიანად დაასრულა ასპარეზობა მერაბ გაგუნაშვილმა. ქართველი დიდოსტატი შავი ფიგურებით უკრაინელ 14 წლის ქალბატონ კატერინ ლაჰნოს დაუზავდა და მე-6 ადგილზე გავიდა.

**ლაშა ბეგეჭკორი**



ვიშვანათან ანანდმა ვეიკ ან ზეეში უკვე მეოთხედ იმარჯვა

**A ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 8,5 |
| 2 | პიტერ ლეკო (უნგრეთი) | 8 |
| 3 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 8 |
| 4 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 7,5 |
| 5 | ვიქტორ ბოლოგანი (მოლდავეთი) | 7,5 |
| 7 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 6,5 |
| 6 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 6,5 |
| 10 | ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი) | 6 |
| 11 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 6 |
| 9 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 6 |
| 8 | ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 6,5 |
| 12 | ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) | 5 |
| 13 | ჩჟან ჩჟონი (ჩინეთი) | 5 |
| 14 | იან ტიმანი (ჰოლანდია) | 4 |

**C ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 10,5 |
| 6 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 7,5 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

25 იანვარი

**მემფისი 106:88 დენვერი**

მემფისი: უილიამსი (6), მილერი (12), პოუზი (10), გასოლი (15), რაიტი (12); ველსი (17), სვიფტი (15), აუთლოო (11), უოტსონი (6), ჯონსი (2), ცაკალიდისი

დენვერი: მილერი (19), ლენარდი (6), ენტონი (25), ნენე (5), კემბი (8 ქულა, 10 მოხსნა); ბოიკინსი (12), რაიტი (6), ელსონი (4), ანდერსენი (3), ცქიტიშვილი (3 წუთი, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ბოუენი

**ორლანდო 87:99 ჰიუსტონი**

ორლანდო: ლუ (12), ბოგანსი (3), მაკგრეიდი (31), ჰოვარდი (9), დეკლერკი (2); გირიჩეკი (10), გუდენი (9), ფაჩულია (14 წუთი, 6 ქულა, 6 მოხსნა), სტრიკლენდი (5), უილიამსი, გეინისი, ჰანტერი

ჰიუსტონი: ფრენსისი (7), მობლი (12), ჯ. ჯეკსონი (11), კატო (8), მინგი (37 ქულა, 10 მოხსნა); ტეილორი (20), ნახბარი (4), მ. ჯეკსონი, ვაილქსი, პადჯეტი

**დალასი 108:99 საკრამენტო**

დალასი: ფინლი (23), ნეში (21 ქულა, 13 პასი), ნოვიცკი (20 ქულა, 12 მოხსნა), უოლკერი (17)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (24 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (23), ჯეკსონი (18), მილერი (11 ქულა, 17 მოხსნა)

**მინესოტა 99:95 ფინიქსი**

მინესოტა: კასელი (3), გარნეტი (19 ქულა, 17 მოხსნა, 8 პასი)

ფინიქსი: მერიონი (31 ქულა, 13 მოხსნა), ჯონსონი (22)

**ნიუ ჯერსი 110:91 ბოსტონი**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (25), მარტინი (20 ქულა, 15 მოხსნა), კიდი (10 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა)

ბოსტონი: დევისი (26), პირსი (13)

**დეტროიტი 82:91 ატლანტა**

დეტროიტი: უილიამსონი (20), ვოლესი (14 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება, 4 ჩაჭრა)

ატლანტა: ტერი (22), ჯეკსონი (21)

**ჩიკაგო 96:89 ტორონტო**

ჩიკაგო: კროუფორდი (27), დევისი (14 ქულა, 14 მოხსნა)

ტორონტო: ბოში (23 ქულა 10 მოხსნა), როუზი (22)



ნიუჯერსელი რიჩარდ ჯეფერსონი „ბოსტონის“ კალათს ერჩის

საკალათბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ყოფილი დინამოელი

**ზურაბ საკანდელიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს



## NHL რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS ფოტო

ნეშვილელი მარტინ ერატი ვანკუვერელ ედ ჟოვანოვსკის გადაემხო

# ვაშინგტონმა იაგრი ვერ გადაიტანა

25 იანვარი

**ვაშინგტონი 1:4 ფილადელფია**

*1:2 0:1 0:1*

0:1 რეკი (6), 0:2 ლეკლერი (9), 1:2 გრირი (18), 1:3 ჰანდზუში (27), 1:4 იუნსონი (51)

პოსტიაგრული ერა „ვაშინგტონისათვის“ ერთობ მძიმედ დაიწყო. ერთმანეთის უკმაყოფილონი კი იყვნენ იაგრი და გუნდი, მაგრამ დედაქალაქელებს მაინც ძალიან დაეტყოთ უმისობა. თვით რობერტ ლანგიც, იაგრის სამეულის ერთ-ერთი წევრი, ჩრდილში მოექცა, არც პარასკევს ჩანდა „ფლორიდასთან“ თამაშში, არც კვირას „ფილადელფიასთან“ და ეს მაშინ, როცა მანამდე იგი 58 ქულით ბომბარდირთა სიას უძღებოდა.

ლანგის დარად, მთელი გუნდი ულიმღამოდ გამოიყურებოდა. მასპინძლებმა მხოლოდ მუშტი-კრივში გამოიჩინეს თავი. ვნებათაღელვა მაშინ დაიწყო, როცა მცველმა ბრენდან უიტმა ორი მეტოქე რადოვან სომიკი და ტონი ამონტე ერთმანეთს შეაჯახა. შედეგად ამონტე დაშავდა, ხოლო როგორც კი უიტმა საჯარიმოთა სკამი დატოვა, მას ფილადელფიელი აყლაყუდა, რონალდ ბრაშირი ეცა. საქმე ამითაც არ დასრულებულა და მეორე და მესამე პერიოდში გუნდების ყველა მთავარმა „პოლიციელმა“ გამოსცადა ძალა.

**ნიუ ჯერსი 3:2 ატლანტა**

*2:1 0:0 1:1*

1:0 მარშალი (4), 2:0 ელიაში (13), 2:1 კოუენი (15), 2:2 კოვალჩუკი (45), 3:2 ფრიზენი (47)

„ატლანტას“ ლიდერ ილია კოვალჩუკს ორი წუთის განმავლობაში ყველანაირი ემოცია დაატყდა თავს — ჯერ უზომო სიხარული, როცა კარიერაში პირველად უმცირესობაში გოლი გაიტანა, მერე იმედგაცრუებამაც არ დააყოვნა, მომდევნო ცვლაში სამი ერთზე გავიდნენ და შანსი ვერ გამოიყენა. ბოლო კი სულ ჩაუმწარდა, უხეშად შეცდა და ჯეფ ფრიზენმა საბოლოოდ დააწინაურა მასპინძლები.

„კოვალჩუკი“ ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და ამ ასაკისთვის დამახასიათებელ ყველა თვისებას ამჟღავნებს, მათ შორის არასტაბილურობას, მაგრამ მთავარია, რომ კარგი მოწაფეა და დაუღალავად შრომობს, რათა ნაკლი აღმოფხვრას“ — „ატლანტის“ თავკაცმა ბობი ჰარტლიმ დაინდო შეგირდი.

**კაროლინა 2:4 ბუფალო**

*1:0 1:2 0:2*

1:0 კოული (5), 2:0 ადამსი (23), 2:1 ბარტოვიჩი (24), 2:2 პესტი (31), 2:3 როი (46), 2:4 პეხტი (59)

**ვანკუვერი 4:1 ნეშვილი**

*1:0 3:0 0:1*

1:0 სოპელი (16), 2:0 სოპელი (22), 3:0 ჰ. სედინი (28), 4:0 ბერტუცი (33), 4:1 ტუტუ (53)

სანამ რობერტ ლანგი დაკარგულ მეგობარზე დარდობს, „ვანკუვერის“ ლიდერი მარკუს ნესლუნდი დროს არ კარგავს, იგი მორიგი სამი პასის წყალობით 60 ქულით დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში.

**სამველ ღარიბიანი**

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 50 | 27 | 8 | 3 | 12 | 137:119 | 65 |
| ფილადელფია | 51 | 25 | 10 | 5 | 11 | 139:113 | 65 |
| ტამპა | 48 | 23 | 6 | 3 | 16 | 123:109 | 55 |
| ოტავა | 49 | 27 | 7 | 3 | 12 | 167:102 | 64 |
| ნიუ ჯერსი | 48 | 25 | 10 | 1 | 12 | 111:86 | 61 |
| ბოსტონი | 50 | 22 | 10 | 4 | 14 | 122:118 | 58 |
| მონრეალი | 50 | 24 | 6 | 2 | 18 | 123:108 | 56 |
| აილენდერსი | 49 | 24 | 4 | 1 | 20 | 140:123 | 53 |
| ატლანტა | 51 | 21 | 5 | 2 | 23 | 141:150 | 49 |
| რეინჯერსი | 49 | 18 | 7 | 4 | 20 | 128:140 | 47 |
| ფლორიდა | 50 | 17 | 10 | 3 | 20 | 110:131 | 47 |
| ბუფალო | 51 | 20 | 5 | 1 | 25 | 120:132 | 46 |
| კაროლინა | 50 | 16 | 9 | 2 | 23 | 93:123 | 43 |
| ვაშინგტონი | 50 | 14 | 5 | 2 | 29 | 118:157 | 35 |
| პიტსბურგი | 50 | 11 | 5 | 3 | 31 | 99:183 | 30 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

**დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 49 | 28 | 8 | 2 | 11 | 153:111 | 66 |
| დეტროიტი | 51 | 28 | 6 | 2 | 15 | 163:120 | 64 |
| სან ხოსე | 50 | 23 | 11 | 4 | 12 | 123:104 | 61 |
| ვანკუვერი | 50 | 27 | 7 | 2 | 14 | 144:113 | 63 |
| სენტ ლუისი | 48 | 25 | 6 | 1 | 16 | 120:115 | 57 |
| ნეშვილი | 50 | 24 | 6 | 2 | 18 | 118:127 | 56 |
| კალგარი | 48 | 24 | 4 | 3 | 17 | 115:103 | 55 |
| დალასი | 51 | 23 | 8 | 0 | 20 | 102:112 | 54 |
| ლოს ანჯელესი | 49 | 19 | 10 | 5 | 15 | 128:124 | 53 |
| ფინიქსი | 48 | 18 | 3 | 2 | 15 | 123:124 | 51 |
| მინესოტა | 51 | 17 | 14 | 0 | 20 | 110:115 | 48 |
| ედმონტონი | 50 | 19 | 8 | 1 | 22 | 125:131 | 47 |
| ანაჰაიმი | 50 | 15 | 8 | 5 | 22 | 104:131 | 43 |
| კოლუმბუსი | 49 | 14 | 7 | 3 | 25 | 100:138 | 38 |
| ჩიკაგო | 50 | 12 | 7 | 5 | 26 | 108:145 | 36 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*





REUTERS მელბურნიდან

# ფეხოსნებზე

ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი თითქოს იგებდა და იგებდა მელბურნის კორტზე. მშობლიურ მხარეში ჩოგბურთელს ბევრი ქომაგი ჰყავს. მაგალითად, ოზი მსახიობი და მომღერალი დელტა გულარემი, რომელიც მარკის ქიდილს მაროკოელ ჰიშამ არაზისთან ღიმილით კი ადევნებდა თვალს, მაგრამ მაროკოელმა სამ ხელში დასცა მეტოქე და თავად გააგრძელა გზა ფინალისკენ. დანიის პრინცი ფრედერიკი კი, თავისი ავსტრალიელი საცოლის, მერი დონალდსონის სანახავად ჩასულა მელბურნს და თან ჩოგბურთითაც ტკბება.

# რა დღეშია

პირაკრული, დაცვით გარშემორტყმული მივიდა სეულის სასამართლოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კიმ უნ-იონგი. ის უკვე მეორედ დაბარებული დაკითხვაზე, რახანია მექრთამეობისა და მაქინაციების სკანდალში გაეხვა. გასულ პარასკევს სოკ-მა გამოძიების ნება დართო კორეელებს და კიმს დროებით აჰყარა თანამდებობრივი პრივილეგიები.



REUTERS სეულიდან

# სამწუხარო ამბავი

ამ ფოტოზე ორ ოლიმპიურ ჩემპიონს ხედავთ: ამერიკელ კარლ ლუისს და ჰოლანდიელ ფანი ბლანკერს-კუნს. ფოტო ხუთი წლის წინანდელია. მილენიუმის ლეგენდარული ბებია გუშინ 85 წლისა გარდაიცვალა.




# ყირაზეიმი

აი, როგორ გაუხარდა გოლის გატანა მექსიკურ „პუმასის“ არგენტინელ თავდამსხმელს ბრუნო მარიონის. მისმა გუნდმა კი „ატლასი“ დაამარცხა მეხიკოს უნივერსიტეტის სტადიონზე, 3:0.




REUTERS მეხიკოდან




REUTERS ანტერსელვადან

# გამარჯვებული

ეს სიხარულის ამბავია: ნორვეგიელმა ლინდა ტიორჰომმა ეს წამია გადაკვეთა ფინიშის ხაზი 12,5-კილომეტრიანი რბოლისა და სროლის შემდეგ. საქმე კი ისაა, რომ მან პირველმა გადაკვეთა ხაზი და ჩემპიონი გახდა. რუსები ნატალია გუსევა და ანა ბოგალი უკან დარჩნენ. ეს ამბავი იტალიურ ანტერსელვაში მოხდა, ბიატლონის მსოფლიო თასზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge